შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ტერორიზმის თანამედროვე ტენდეციები და მისი კრიმინოლოგიური ასპექტები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ანი სონღულაშვილი**

ნაშრომის ხელმძღვანელი,

პროფესორი გივი ლობჟანიძე

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია 3

Annotation 5

შესავალი 6

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 7

თავი II. ტერორიზმის განვითარების გნოსეოლოგიური ფესვები 8

2.1 ტერორიზმის გავრცელების ისტორიული მიმოხილვა 8

2.2 ტერორიზმის დეფინიცია 16

2.3 ტერორიზმის წარმოშობის მიზეზები, ფორმები და სახეები 24

თავი III . თანამედროვე ტერორიზმის ტენდეციები და მის პრევენციასთან დაკავშირებული პრობლემები 36

3.1 ტერორიზმის ტენდენციების მიმოხილვა 36

3.2. ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებული ასპექტები 44

თავი IV. კვლევის შედეგები 52

დასკვნა 53

გამოყენებული ლიტერატურა 55

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტერორიზმის თანამედროვე ტენდეციები და მისი კრიმინოლოგიური ასპექტები. მრავალი წლებია ტერორიზმი უდიდეს საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების დემოკრატიას. ის არის ძალადობის სისტემური გამოყენების იარაღი, რომელიც მოსახლეობაში მუდმივ შიშის ნერგავს, ახდენს პოლიტიკურ კლიმატის ცვლილებებს და ხელყოფს ადამიანთა სიცოცხლეს.

ნაშრომის პირველი თავი ეხება ლიტერატურის მიმოხილვას. მეორე თავი ტერორიზმის განვითარების გნოსეოლოგიური ფესვებს სადაც განხილულია: ტერორიზმის განვითარების თავისებურებანი დროსთან მიმართებით, ამ ქვეთავში გამოყოფილია ოთხი მნიშვნელოვანი პერიოდი და აღწერიალია ტერორიზმის როგორი სახის გამოვლინებები იყო, ჩვენი წელთაღრიცვიდან მოყოლებული დღემდე. შემდეგ ქვეთავებია ტერორიზმის დეფინიცია, ტერორიზმის წარმოშობის მიზეზები, ფორმები და სახეები, სადაც სხვადასხვა მეცნიერების, იურისტებისა თუ პრეფესორების მოსაზრებებისა და დასკვნების შეჯამებით, გამოყოფილია ტერორიზმის სხვადახვა დაჯგუფებები, განხილულია მათი სახეების ფორმები და მოქმედბები. აღნიშნული თავი გვეხმარება რაც შეიძლება სრულყოფილად დავინახოთ და გავერკვიოთ, თუ როგორი დანაშაულია ტერორიზმი, რა საფრთხეებს შეიცავს ის და რა ხერხებით ებრძვიან მას.

მესამე თავი ეხება თანამედროვე ტერორიზმის ტენდეციებს და მის პრევენციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. თანამედროვე ტენდეციებთან მიმართებით ძირითად განხილულია 2020 წლის მსოფლიო მდგომარეობა ტერორიზმთან დაკავშირებით, რომელიც კოვიდ პანდემიასთან თანხვედრაში მიმდინარეობდა. გამოყოფილი და განხილულია ყველაზე მწვავე თანამედროვე ტერორისტული შემთხვევები, რომლებიც ამ წლებში მსოფლიოს თავი დაამახსოვრა საინტერესო და ამოუხსნელი შემთხვევებით. მაგრამ, ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ამ წლებში, გასული წლებისგან განსხვავებით, მთლიანად ტერორისტული აქტივობის ანალიზი კორონავირუსის გავრცელების ჭრილში ხდებოდა. სწორედ ამიტომ, ეს თავი გვაძლევს საშუალებას დავინახოთ დღევანდელი მსოფლიოს მდგომარეობა ტერორიზმთან მიმართებაში.

რაც შეეხება ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებულ ასპექტებს ამ თავში განხილულია ტერორიზმის კრიმინოლოგიური თავისებურებანი და მის პრევენციასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები. მოყვანილია საქართველოსა და სხვადსხვა ქვეყნის მაგალითები, თუ რა ხერხებით ებრძვიან ტერორიზმს და რა პრევენციულ ზომებს მიმართავენ

ესა თუ ის სახელმწიფოები ამ პრობლემის გადასაჭრელად. ეს თავი ნათლად გვანახებს იმ ეფექტურ გზებს რითაც შესაძლებელია ეფექტურად ვებრძოლოდ ამ დანაშაულს - ტერორიზმს.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, ანოტაციას, შესავალს, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვას, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

The following text describes modern trends in terrorism and its criminological aspects. For many years, terrorism has posed the greatest threat to the democracy of states. It is a weapon of systemic use of violence that instills constant fear in the population, changes the political climate and violates human life.

The first chapter of the paper deals with a review of the literature. The second chapter discusses the epistemological roots of the development of terrorism: Peculiarities of the development of terrorism over time, this subsection distinguishes four important periods and describes the manifestations of terrorism from our era to the present. The following are the definitions of terrorism, the causes, forms and types of terrorism, where by summarizing the opinions and conclusions of various scientists, lawyers or professors, different groups of terrorism are separated, their forms and actions are discussed. This chapter helps us to see as fully as possible what the crime of terrorism is, what dangers are and how to fight it.

The third chapter deals with the trends of modern terrorism and the problems associated with its prevention. In relation to modern trends, the main discussion is the world situation in 2020 in relation to terrorism, which coincided with the Covid Pandemic. Isolated and discussed the most acute modern terrorist cases that the world has remembered in recent years with interesting and unexplained cases. But, the most interesting thing was that in these years, unlike in previous years, the whole analysis of terrorist activity was done in the context of the spread of coronavirus. That is why this chapter allows us to see the state of the world today in relation to terrorism.

As for the aspects related to the prevention of terrorism, this chapter discusses the criminological features of terrorism and the legal aspects related to its prevention. There are examples of Georgia and different countries, how they fight terrorism and what preventive measures are taken by this or that state to solve this problem. This chapter clearly shows the effective ways in which we can effectively fight this crime - terrorism.

The paper includes a table of contents, an annotation, an introduction, a review of the literature used, the main topic (which is divided into chapters and subsections), a conclusion and a list of the literature used.

შესავალი

თემის აქტუალობა. საკვლევი თემა ეხება მსოფლიოში დღეისათვის ერთ-ერთ მეტად აქტუალურ საკითხს ტერორიზმს. როცა საქმე ტორორიზმს ეხება საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოებისც კი უძლურნი არიან ტერორისტთა პროგნოზირებადი მოქმედებების წინაშე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ტერორიზმის არსის შესწავლა, მისი გამომწვევი მიზეზების, ფორმების და სახეების გაანალიზება, უახლესი ტენდენციების მიმოხილვა, მოსალოდნელი საფრთხეების პრევენცია და ტერორიზმის თავიდან აცილების სამართლებრივი გზების ძიება.

კვლევის მიზანი. წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგეს ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების განხილვას, ამ დანაშულის ფორმების და საახეების გამოყოფას, მისი განვითარების სტადიებს ანალიზს, ახალი ტენდეციების სიღრმისეულად განხილვას და ტერორიზმთან ბრძოლის თანამედროვე მიდგომებს, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბებით.

კვლევის ამოცანა. ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს ტერორიზმის დეფინიციის განსაზღვრას; მისი წარმოშობის მიზეზებისა და გამოვლენის ფორმებს; სისხლისსამართლებრივ ასპექტში ტერორისტული დანაშაულის სწორის შემადგენლობის განსაზღვირასთვის - ტერორიზმის სახეებისა და ფორმების კლასიფიკაციას; ტერორიზმის ისტორიული ასპექტების ფართოდ გადმოცემას; ყველაზე მწვავე, თანამედროვე და დასამახსოვრებელი ტერორისტული აქტების განხილვა; ასევე მნიშვნელოვანია ტერორისტული აქტივობის ანალიზი კორონავირუსის გავრცელების ჭრილში; ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებული ასპექტებისა და მისი თავიდან აცილების ხერხების განხილვა.

კვლევის მეთოდები: ნაშრომზე მუშაობისას შევისწავლე და კვლევა ვაწარმოე თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელზეც უფრო დაწვრილებით ლიტერატურულ მომოხილვაში მოგახსენებთ - გაანალიზებულ იქნა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, კვლევები და ნორმატიული ლიტერატურა; ასევე ნაშრომში წარმოჩენილია მეცნიერული ხედვა და ანალიზი რომელიც ხელს უწყობს ტერორიზმის პრობლემის უკეთ გაანალიზებას. კვლევის სრულყოფილად ჩატარების მიზნით გამოყენებულია იურიდიული მეცნიერებისთვის რელევანტური შემდეგი სახის კვლევის მეთოდები: შედარებით სამართლებრივი მეთოდი; იურიდიული განმარტებითი მეთოდი; აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდები; დიალექტიკური მეთოდი; პროგრნოზირებათა და შემეცნებითი საშუალებები. ნაშრომის წერისას ასევე დავიხმარე ინტერნეტ-რესურსები რომელიც მითითებული მაქვს, როგორც სქოლიოში, ასევე გამოყენებულ ლიტერატურის ჩამონათვალშიც.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს ტერორიზმის გარშემო. ასეთები იყო: გ. გორაშვილის „ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება“, ს.ჩქოფოიასა და კ.ჭყოიძის, „საერთაშორისო ტერორიზმი (ოდეოლოგია და პოლიტიკა); გ.ლობჟანიძე, „საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა“; ი.დვალიძე, „ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“; გ. ქელდიშვილის „ ტერორიზმი და ტერორისტული აქტები“; ბ.ნაჭყებიას „ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია“; ადლერი ფ., მიულერი გ.ო.ვ ლაუფერი ვ.ს., „შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში“; რომელწბიც შედარებით-სამართლებრივ ანალიზს წარმოადგენს და მრავალმხრივ გვაჩვენებს საკითხის მთავარ მახასიათებლებს.

ქართულ ლიტერატურასთან შედარებით, ჩემთვის მეტად საჭირო და ინფორმაციული გამოდგა უცხოური ლიტერატურა, რომელის უმეტესი ნაწილი ინტერნეტით მოვიძიე, ზოგიც კი ქართულ მასალებში იყო მოხსენიებული. ასეთები იყო: Jenkins B.M., The Study of Terrorism: Definitional Problems, Rand Corp; D.Byman, P.Chalk, B. Hoffman, W. Rosenau, D. Brannan. Trends in Outside Support for Insurgent Movements; The Christian Science Monitor; Ruperez J., The United Nations In The Fight Against Terrorism; Jenkins B.M., International Terrorism The Other World War; Г.В. Овчинникова Терроризм, Серия Современные стандарты в уголовном праве и уголовном процессе; Д.В. Ольшанский Психология терроризма; Б. Г. Чурков, Социально-философские аспекты современного терроризма; Т.С. Бояр-Созонович Проблемы классификации современного терроризма; В. Назаркин, Криминологическая характеристика и предупреждение терроризма და ა.შ. აღნიშნულ ლიტერატურებში ტერორიზმი ძირეულადაა განხილული, გაანალიზებულია ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეები და გამოწვევები.

სამაგისტრო ნაშრომში ასევე გამოყენებულია ნორმატიული მასალა, კერძოდ: „საქართველოს კონსტიტუცია“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ და „საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“

ასევე, გამომადგა და დიდი დახმარება გამიწია ინტერნეტით მოძიებულმა თითოეულმა მასალამ როგორრებიცაა: ონლაინ საღელმძღვანელოები, ვებ-გვერდები, სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები და კვლევები რომელიც გამოყენებულ ლიტერატურაში ლინკების სახით არის მითითებული.

თავი II. ტერორიზმის განვითარების ნოსეოლოგიური ფესვები

2.1 ტერორიზმის გავრცელების ისტორიული მიმოხილვა

იმის მიუხედავად, რომ ტერორიზმი ყოველთვის არსებობდა, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, იგი სხვადასხვანაირად იწოდებოდა და აღიქმებოდა. ადრეულ საუკუნეებში ტერორიზმი ხელისუფლებისთვის ბრძოლის ერთ-ერთ ხერხადაც კი ჩამოყალიბდა. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ტერორს იყენებდნენ. ტერორს მიმართავდნენ ინკვიზიციის, სასახლის გადატრიალებისა და მონარქის ჩამოგდების დროს; იგი განსაკუთრებით მძვინვარებდა რევოლუციების დროს, როცა რევოლუციის მოწინააღმდეგეებს (პოლიტიკურ მტრებს) სასტიკად უსწორდებოდნენ. [1] ტერორიზმის თავდაპირველი გამოვლინებები ისტორიულად ჯერ კიდევ მონათმფლობელურ პერიოდიში უნდა ვეძიოთ.

<u>ადრეული ტერორიზმის ხანა.</u>

ტერორის მეთოდს, შიშის ქვეშ მორჩილებაში ყოლას, ემყარებოდა მსოფლიოში ყველა იმპერია. რომის იმპერიას ტერორის მეთოდის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰქონდა აყვანილი. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით იმპერიას მორჩილებაში ჰყავდა როგორც მონების დიდი მასები, ისე დაპყრობილი სახელმწიფოები და პოლიტიკური მოწინააღმდეგეები როგორც რომში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულის დასტურია სისხლში ჩახშობილი მონათა აჯანყებები - მარტო სპარტაკის აჯანყების შემდეგ ჯვარზე გაკვრით სიკვდილით დასაჯეს 6000-ზე მეტი მონა. რომში მასორივად ხდებოდა პოლიტიკური მოწინააღდეგეების ფიზიკური განადგურება. იმპერატორები ნერონი, სულა პომპეუსი, ცეზარი და სხვები მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურების გარდა, მიზნად ისახავდნენ მათ დაშინებას და იძულებას, გადაედგათ ისეთი ნაბიჯები, როგოიც ეს რომი მმართვლებს აწყობდათ. ტორანები იხოცებოდნენ მაგრამ მათი მეთოდები სხვების შეიარაღებაში გადადიოდა.[2]

უძველესი სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკა მიმარტული იყო მონური შრომიდან მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური სარგებლის ამოღებისკენ. აღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებელი იყო ძალადობაზე და ტერორზე დაფუძნებული მეთოდები,

---

[1] მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი. დანაშული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. თბ, 2002, გვ.45

[2] გ.გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011, გვ.26

რათა ფსიქოლოგიურად გაეტეხათ, დაემორჩილებინათ ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში თავისუფალი ადამიანები. [3] მონათმფლობელურ საზოგადოებაში ძალადობა იყო „საწარმო ბერკეტი“, ეკონომიკური ურთიერთობის ელემენტი, მმართველი ფენის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ნამატი პროდუქციის შექმნა.[4]

მონათმფლობელურ სახემწიფოში ტერორიზმის მთავარ სუბიექტს სახელმწიფო წარმოადგენდა, რომელიც იყენებდა ტერორს, როგორც კანონიერ საშუალებას მასობრივი იძულებითი შრომისთვის, საზოგადოების მართვისთვის, ომების წარმოებისთვის, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დათრგუნვისთვის. ტერორისტული საქმიანობა მიმართული იყო როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ფუნქციების განხორციელებისკენ შესაბამისად, ადრეულ ტერორიზმს პოლიტიკურთან ერთად გააჩნდა ეკონომიკური მოტივაციაც.[5]

მონათმფლობელურ საზოგადოებაში გამოყენებული ძალადობა იყოფოდა კანონიერად და კანონსაწინააღმდეგოდ იმის მიხედვით, თუ ვინ ვის მიმართ ახირციელებდა ძალადობას. სახელმწიფოდან მომდინარე ძალადობა, მათ შორის მონის მიმართ, არ ითვლებოდა კანონსაწინააღმდეგოდ. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი მიდგომას, რომ სახელმწიფო ტერორი არის პოლიტიკური ბრძოლის კანონიერი მექანიზმი, ხოლო ოპოზიციური უკანონო, რომელსაც სახელმწიფო უნდა ებრძოლოს ყველა არსებული საშუალებით. ტერორი ხდება პოლიტიკური ბრძოლის საშუალება და გამოიყენება: მმართველი კლასის მიერ ხალხის მასების მორჩილებაში ყოლის, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დამარცხების და მათზე ზეწოლის მიზნით; ოპოზიციის მიერ ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრის და მისი დეზორგანიზაციის მიზნით; მონების მიერ, როგორც საპასუხო რეაქცია და შურისძიება. ტერორიზმმა ყველა სოციალურ წრეში საყოველთაოდ აღიარებული საშუალების სახე მიიღო.[6]

<u>**რევოლუციური ტერორიზმის ხანა.**</u>

მე-19 საუკუნის შუახანებიდან ტერორიზმმა შინაარსი შეიცვალა და ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციურად განწყობილი ძალების შეიარაღებაში გადავიდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ტერორიზმი სხვადასხვა სახის ჯგუფების

---

[3] Я.И. Кузьминов и др. Отчуждение труда. История и современность. Монография, М. 1989, ст.129

[4] В.В. Денисов. Социология насилия. М.,1975, ст.50

[5] გ.გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011, გვ. 27

[6] Ю.С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография,М. 2008, ст.21-22.

დასახასიათებლად გამოიყენებოდა, როგორებიც იყო მუშათა ორგანიზაციები, ანარქისტები, ნაციონალური მიმართულების ჯგუფები და სხვა.[7]

სახელმწიფოს არსენალიდან გამოსულმა ტერორიზმმა რევოლუციურად განწყობილი ოპოზიციური ძალების საბრძოლო ტაქტიკაში საპატიო ადგილი დაიკავა. აღნიშნული პერიოდი მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის ოციან წლებამდე გრძელდობოდა და მას „რევოლუციური ტერორიზმის" ხანა შეგვიძლია ვუწოდოთ.

მე-19 საუკუნის დასაწყისი პოლიტიკური რადიკალიზმის აღმავლობით გამოირჩევა. ამ პერიოდში აღმოცენდა ანარქიზმი, სოციალიზმი, ნაციონალიზმი და სხვანი. ეს მიმდინარეობები აქტიურად იყენებდნენ ტერორიზმს, როგორც თავიანთი პოლიტიკური მიზნების მიღწევის ეფექტურ ხერხს. ამ პერიოდის ტერორისტული აქტივობის დიდი ნაწილი ავროპის სახელმწიფოებზე მოდის. განხორციელებულ ტერორისტულ აქტთა შორის, აღსანიშნავია 1894 წელს იტალიელი ანარქისტის მიერ საფრანგეთის პრეზიდენტის სადი კარნოს მკვლელობა; 1897 წელს, ისევ ანარქისტების მიერ სასიკვდილოდ დაიჭრა ავსტრიის დედოფალი ელიზავეტა; 1900 წელს ტერორისტული აქტის მოწყობით მოკლეს იტალიის ხელმწიფე უმბერტო პირველი, ხოლო 1901 წელს აშშ-ს პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი.[8]

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებული ტერორისტული აქტივობით გამოირჩეოდა რუსეთი, სადაც ტერორიზმმა მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. რუსეთში ჩამოყალიბდა ისეთი რადიკალური პოლიტიკური მოძრაობები, როგორიც იყო „ნაროდნიკები", „ესერები", „ანარქისტები", და სხვ. რომელთაც ძალიან მოქნილი, კარგად მოფიქრებული, მყარი ორგანიზაციული სტრუქტურები შექმნეს და თავიანთ საბრძოლო არსენალში ტერორისტულ სტრუქტურები შექმნეს და თავიანთ საბრძოლო არსენალში ტერორისტულ მეთოდებს საპატიო ადგილი დაუთმეს. რუსმა „ნაროდნიკებმა" 1878 წლის 4 აგვისტოს ქ.პეტრბურგში მოკლეს რუსეთის ჟნდარმერიის შეფი ნ. ვ. მეზენცევი.[9]

1900-1910 წლებში მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტივობა ჰქონდა სოციალისტურ-რევოლუციონერების ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო ოგრანიზაციას (БО ЦК ПСР) აღნიშნული საბრძოლო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედებნენ ე.წ „მფრინავი რაზმები" რომლებიც ახორციელებდნენ ოპერაციებს რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში. მათ მიერ

---

[7] https://www.uncp.edu - უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[8] Е. Кожушко, Современный терроризм, анализ основных направлений. Минск, 2000, ст.3

[9] История терроризма в Росси в документах, биографиях, исследованиях, Автор-составитель О.В. Будницкий. Ростов н/д: Феникс, 1996. Ст. 32-88

განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს შორის აღსანიშნავია 1904 წელს რუსეთის შიანაგან საქმეთა მინისტრის პლევეს მკვლელობა და 1905 წელს გენერალ სახაროვის მკვლელობა.[10]

„რევოლიციური ხანის“ ტერორიზმს აშკარა გამოხატული პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, დამყარებული იყო კარგად გააზრებულ და დამუშავებულ იდეოლოგიაზე. ამ პერიოდის ტერორისტთა მოთხოვნები ძირითადად სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური წყობის დანგრევისკენ, ნაციონალური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისკენ იყო მიმართული. „რევოლუციური ხანის“ ტერორისტული აქტები ობიექტის მიხედვით უფრო სელექციურია, ვიდრე მასობრივი. მკვლევარები „სელექციური“ ტერორიზმის ცნებაში რომელიმე ერთი კონკრეტული პიროვნების, ან პირთა ჯგუფის წინააჭმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტს გულისხმობენ. შემთხვევებს, როდესაც ტერორისტული აქტი პირთა განუსაზღვრელი წრის ჭინააღმდეგ არის მიმართული, „ბრმა“ ტერორიზმად მოაზრებენ.

თანამედროვე ტერორისტული აქტივობისგან განსხვავებით, „რევოლუციური ტერორიზმის“ ხანა, ნაკლები მსხვერპლიანობით ხასიათდება, რადგანაც მისი ობიექტის ქვეშ ძირითადად კონკრეტული პირები ხვდებოდნენ. ტერორისტები შეძლებისდაგვარად თავს არიდებენ „უდანაშაულო“ მასებში მსხვერპლს. ლიტერატურაში აღწერილია ამ პერიოდის ტერორისტებში გარკვეული ღირსების კოდექსის არსებობაც კი. „ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც ისინი თავს იკავებდნენ ტერორისგან, როდესაც სამიზნე მსხვერპლის ირგვლივ იმყოფებოდნენ ქალები ან ბავშვები.[11]

მე-20 საუკუნის ოციან წლებიდან მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე ტერორისტული აქტივობა მთვლემარე მდგომარეობა ში გადადის. ეს განაპირობა მსოფლიოში ორი ისეთი ტოტალიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი და ფაშისტური გერმანია. ტერორისტული ჯგუფების აქტიობის შენელებაზე იმოქმედა მეორე მსოფლიო ომმაც, რომლის დროსაც მსოფლიო სახელმწიფოთა უდიდესი ნაწილი საომარ ოქმედებებში იყო ჩართული.

<u>ცივი ომის ტერორიზმის ხანა.</u>

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის ბანაკი: სოციალისტური და კაპიტალისტური. აღნიშნული დაპირისპირება „ცივი ომის“ სახელითაა ცნობილი და ითვლება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამთავრდა. მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური ვითარება ტერორისტული

[10] К.В. Жаринов, Терроризм и террористы (исторический справочник) Минск 1999. с.7.
[11] გ.გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011, გვ. 31

აქტივობის მძლავრი დეტერმინანტი აღმოჩნდა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი არნახული ტერორისტული მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტივობით მოქმედებნენ მემარჯვენე თუ მემარცხენე, ეთნო-ნაციონალური თუ რელიგიური მიმართულების ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ტერორიზმის დინამიკაზე უდიდეს გავლენას სწორედ „ცივი ომი“ ახდენდა. მართალია აღნიშნულ პერიოდში არსებობდნენ ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებნენ ისე, რომ არ შედიოდნენ მჭიდრო კონტაქტში, ან არ ექვემდებარებოდნენ დაპირისპირებულ მხარეებს, მაგრამ ასეთი ჯგუფები ზოგადი წესიდან უფრო გამონაკლისს წარდმოადგენდნენ. ზუსტად აღნიშნულ პერიოდში აქტუალური გახდა მოვლენა, რომელიც შემდგომ ტეროლოგებმა დაახასიათეს როგორც „სახელმწიფოს ხელშეყობით წარმოებული ტერორიზმი“.[12]

ორი დიდი ბანაკი, რომელთა სათავეში, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირი ხოლო მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები იდგა, არიდებდა თავს პირდაპირ კონფლიქტებსა და ღია დაპირისპირებას, თუმცა ცდილობდა დაესუსტებინა მოწინააღმდეგე არაპირდაპირი, დიპლომატიურად მიუღებელი მეთოდებით. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთის განადგურებისთვის ყველანაირ ხერხს და საშუალებებს იყენებდნენ, ამასთან ერთად ტერორიზმის გამოყენება ძალიან ეფექტურიც კი იყო მათვის. მიღებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დაშვებული მეთოდებით ომის წარმოება საკმაოდ ძვირად უჯდებოდა სახელმწიფოს, ტერორიზმი კი წარმოადგენდა მოწინააღმდეგის თანდათანობით დასუსტების ეფექტურ გამოსავალს. როგორც საბჭოთა კავშირი, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები ერთმანეთის წინააღმდეგ ახორციელებდნენ სხვადასხვა ტერორისტული ჯგუფების წაქეზებას, მათ დაფინანსებას და ხელშეწყობით ცდილობდნენ დაესუსტებინათ მოწინააღმდეგე, რათა მოეპოვებინათ მსოფლიო ჰეგემონობა.

ტერორიზმის სახელწიფოებრივი სპონსორობა და მფარველობა, როგორც საგარეო პოლიტიკის ერთგავარი ინსტრუმენტი, დამახასიათებელი იყო ცივი ომის პერიოდისთვის. შეერთებული შტატები იყენებდა ნიკარაგუელ რევოლუციონერებს, ავღანელ მოჯაჰიდებს, ტიბეტელ ბუდისტ მეომრებს და სხვებს, ცდილობდა შეეეჩერებინდა კომუნიზმი. ვაშინგტონი, ამ მხრივ არ რამოადგენდა გამონაკლისს. საბჭოთა კავშირი და ჩინეთი მფარველობდნენ

[12] გ.გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011, გვ. 33

კომუნისტ პარტიზანებს ანგოლაში, საბერძნეთში, სამხრეთ აფრიკაში ვიეტნამში და მსოფლიო სხვადასხვა კუთხეში.[13]

ცივი ომის პერიოდის ლიტერატურა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე აშშ-ში აჭრელებული იყო მოწინაღმდეგე მხარი მიმართ ტერორიზმის ორგანიზების ბრალდებებით. იმის მიუხედავად, რომ დაპირისპირებული ბანაკები წარმომადგენელ ავტორთა ლიტერატურაში ბრალდებები შეიძლება გამუქებულად გამოიყურებოდეს, მათში მაინც შეიძლება ჭეშმარიტების მარცვლის პოვნა. როგორც საბჭოთა კავშირი, ისე აშშ საკმაოდ ეფექტურად იყენებდნენ იმ იარაღს, რომელსაც ტერორიზმი ქვია. ზუსტად ამ პერიოდს ემთხვევა ერთგვარი კლიშეს წარმოშობა „რომ ტერორიზმი ერთისთვის არის თავისუფლებისთვის მებრძოლი, მეორესთვის" შეფასების ორმაგი სტანდარტი. ტერორიზმის საყოველთაოდ მიღებული იურიდიული ცნების არასებობა, საშუალებას იძლეოდა ტერორისტის იარლიყი მიეკერებინათ და ბრძოლა გამოეცხადებინათ გარკვეული პოლიტიკური თუ საერთაშორისო სამართლის სუბიექისთვის სუბიექტური რეალპოლიტიკური მიზნების შესაბამისად. მაშინ, როდესაც „ჰამასი" და მისი მეთაური იასირ არაფატი აშშ-სთვის წარმოადგენდა ტერორისტულ ორგანიზაციას, საბჭოთა კავშირის ოფიციალური შეფასებით, თავისულებებისთვის მებრძოლი იყო. „ის ვინც მართალი საქმისთვის იბრძვის, ტერორისტი არ არის" [14], - განაცხადა იასირ არაფატმა გაერთიანებული ორების ორგანიზაციაში. ტერორიზმში „საქმის სიმართლე" ხშირად მხოლოდ ერთი მხარისთვის არსებობს, იმ მხარისთვის რომელიც მისით აპელირებს, რომლისთვისაც ტერორიზმი მიზნის მიღწევის საშუალებაა.[15]

ტერორისტული ეპოქა, რომელსაც ტერორიზმის „ცივი ომის ხანა" ვუწიდეთ, სავსეა სოციალისტური და კაპიტალისტური მზარეების დაპირისპირების მუხტით. ამ პერიოდის მემარცხენე თუ მემარჯვენე, რელიგიური და ეთნო-ნაციონალური ტერორისტული ჯგუფების უმრავლესობა განიცდიდა ამ ორი მხარის ზეგავლენას, ჰქონდათ მათგან აქტიური მხარდაჭერა, ან სარგებლობდნენ პასიური მდუმარებით, რაც თავისთავად თანხმობის ნიშანს წრმოადგენდა.

<u>ტერორიზმის თანამედროვე პერიოდი.</u>

ოცდამეერთე საუკუნის დადგომას, კაცობრიობას ტერორიზმი 2021 წლის 11 სექტემბერს საზარელი ტერაქტით, ნიუ-იორკის ცათამბრჯენ ტყუპებს შემსკდარი ავიალაინერებით და ხუთი ათასზე მეტი ადამიანის სიკვდილით „ულოცავს". ნუი-იორკს მალე მოსდევს მადრიდი

[13] D. Byman, P.Chalk, B. Hoffman, W. Rosenau, D. Brannan. Trends in Outside Support for Insurgent Movements. Published 2001, by Rand, p.1

[14] B.M. Jenkins, International Terrorism The Other World War. 1985, Rand R-3302-Af, p.2

[15] გ.გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011. გვ. 35

(2004 წლის 11 მარტი) და ბესლანი (2004 წლის 1 სექტემბერი), რითაც ოცდამეერთე საუკუნის ტერორიზმა განაცხადა, რომ იგი ისეთი ძლიერია და სისხლიანი, როგორც არასროს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭომ განაცხადა, რომ „საერთაშორისო ტერორიზმი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საფრთხეს 21-ე საუკუნის მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისთვის".[16]

თანამედროვე ტერორიზმი გაცილებით უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს, ვიდრე ოდესმე. მსხვერპლიანობის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად შეიზლება მივიჩნიოთ ის, რომ „როგორც ხალხი, ისე მასობრივი საინფორმაციო საშუალებები თითქოს შეეჩვია და დაკარგა მგრძნობელობა ტერორისტთა ტრადიციული მოქმედებების მიმართ. აღნიშნულმა ფაქტორმა ტერორისტებს უბიძგა იმოქმედონ უფრო დრამატულად, დაღვარონ უფრო მეტი სისხლი, რათა მიაღწიონ ძველებურ ეფექტს... ტერორისტების დიდი მსხვერპლი აძლევს გარკვეულ გარანტიას იმისა, რომ მათი ქმედებები სათანადოდ გაშუქდება საინფორმაციო საშუალებებში და მიიპყრობს საზოგადოების ყურადღებას.[17]

ცივი ომის დროს არსებული წონასწორობა თანამედროვე ეპოქაში დაირღვა. ისტორიის კუთვნილებად ქცეულ, საბჭოთა კავშირის ფარგლებში მყოფ სოციალისტურ რესპუბლიკებში წარმოშობილი ნაციონალურ მოძრაობებეს მალე მოჰყვა გარკვეული ჯგუფების ეთნიკურ-სეპარატისტული მოთხოვნილებებიც. აღნიშნულ სეპარატისტულ მოთხოვნებს ხშირად პოლიტიკური ძალადობაც ახლდა თან, თერორიზმის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდსი აღმოცენდა სხვადასხვა ფორმის დაბალი ინტენსივობის კონფლიქტები, რომელიც სწრაფად გადაიზარდა სამოქალაქო ომში ან ორგანიზებულ დანაშაულობაში.[18]

თანამედროვე მსოფლიოში სოციალისტური ბანაკის კრახით გამოწვეული „ხალი მსოფლიო უწესრიგობის გამო", მნიშვნელოვნად დაეცა მრავალი სახელმწიფოს ხელისუფლების სიძლიერე, მისი ორგანოების მაკონტროლებელ-პროფილაქტიკური უნარი, რაც დიდ იმპულსად იქცა ტრასნაციოალური მასშტაბით ორგანიზებული დანაშაულობის გაძლიერებისთვის. ორგანიზებული დანაშაულობის მხრიდან დაიწყო ტერორისტული ჯგუფების მომარაგება იარაღით, ფინანსებით და ა.შ ორგანიზებული დანაშაულობის სფეროში ბრძოლის

[16] www.un.org- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[17] I.O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. 1999 Rand, p.13.

[18] გ.გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011, გვ. 37

ტერორისტული მეთოდების გამოყენება პოლიტიკური და ფინანსური გავლენის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად.[19]

თანამედროვე ტერორიზმის თვისებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია რადენიმე ძირითადი მახასიათებელი გამოიყოს:

პირველი ასეთ მახასიათებლად შეიძლაბა მივიჩნიოთ ტერორისტული ჯგუფების მიერ საერთაშორისო ქსელის შექმნა, რომელის მეშვეობითაც ისინი თანადგომას უწევენ ერთამნეთს.[20]

მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ სახელმწიფოთა მხრიდან ტერორისმის მხარდაჭერა ცივი ომის პერიოდს არ ჩაბარებია. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ტერორიზმის „პატრონად“ შემდეგი სახელმწიფოები სახელდება: კუბა, ირანი, ერაყი (ბოლო პერიოდამდე), ავღანეთი, ლიბია, ჩრდილოეთ კორეა, სუდანი და სირია.[21]

თანამედროვე ტერორიზმის **მესამე** მნიშვნელოვანი მახასიათებელად შეიძლება გამოიყოს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება. თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები საშუალებას აძლევს პატარა ჯგუფებს იმოქმედონ ბევრად ფართო შესაძლებლობებით. ტერორისტებმა თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები შესაძლოა გამოიყენონ ორი მიმართულებით: პირველი - როგორც იარაღი თავიანთი მიზნების მისაღწევად და მეორე - როგორც ტერორისტული ხელყოფის ობიექტი.[22]

თანამედროვე ტერორიზმის მეოთხე მახასიათებელი რელიგიურად მოტივირებული ტერორისტული აქტივობე ის ხვედრითი წილის ზრდაა. „რელიგია უზრუნველყოფს ტერორის ერთადერთ მისაღებ გამართლებას“ დევიდ რაპოპორტმა რელიგიურ ტერორიზმს „წმინდა ტერორი“ უწოდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში რელიგიური ტეორიზმი ჩრდილ ქვეშ იყო მოქცეული. 1968 წელს თერთმეტი საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფიდან არცერთი არ იყო რელიგიურად მოტივირებული. მხოლოდ 1980 წლიდან, ირანის ისლამური რევოლუციის შედეგად, ყალიბდება პირველი „თანამედროვე“ რელიგიური-ტერორისტული ჯგუფები. 1995 წელს რელიგური ტერორისტული ჯგუფების მაჩვენებელმა საერთაშორისო

[19] გ.გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება 2011, გვ.37

[20] C. Sterling, The Terror Network: The Secret War of International Terrorism (New York: Reader.s Digest Press, 1981)

[21] http://www.state.gov/s/ct- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[22] S.C. Pelletiere, Terrorism: national security policy and the home front. Editor May 15, 1995 Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050. p.64

ტერორისტული ჯგუფების საერთო რაოდენობაში თითქმის ნახევარს მაიაღწია. (56 ჯგუფიდან 26, ანუ 46%).[23]

ხოლო თანმედროვე ტერორიზმის **მეხუთე** მახასიათებლის ნიშნად უნდა ჩავთვალოთ ე,წ „სამოყვარულო ტერორიზმის“ განვითარება. თუკი ადრე ტერორისტი ძირგამომთხრელ საქმიანობას შეიძლებოდა დაუფლებოდა მხოლოდ გარკვეული ტერორისტული ორგანიზაციის ფარგლებში ან ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოს მიერ მოწყობილ შესაბამის სასწავლო ბანაკებში, ამჟამად ასეთი ცოდნის დაუფლება ნებისმიერ მსურველისთვის ადვილად ხელმისაწდომია წიგნებიდან, კომპიუტერული დისკებიდან და განსაკუთრებით ინტერნეტიდან, ტერორიზმი ხელმისაწდომი გახდა ყველასთვის.[24]

ტერორიზმი იკავებს სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს კონფლიქტურ სპექტრში. დღეს ტერორიზმი უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ნაციონალური, რელიგუიური, პოლიტიკური, თუ სხვა ტრადიციული სფეროებით. თანამედროვე ტერორისტები ხშირად ეწევიან ისეთ საქმიანობას, რომელიც ძნელად გასარჩევია ჩვეულებრივი კრიმინალური საქმიანობისგან. ზოგიერთი სპეციალისტის პროგნოზით ტერორისტთა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახდება ინფორმაციული ინფრასტუქტურები, განსაკუთებით მასობრივი საინფორმაციო საშუალებები. [25]უილტერ ლაკუარის აზრით, თუკი თანამედროვე ტერორიზმი მიმართავს თავის ენერგიას ინფორმაციული ომისაკენ, მისი დამანგრეველი ძალა გაცილებით უფრო დიდი იქნება. იმასთან შედარებით, რაც ტერორიზმის ისტორიას დღემდე ახსოვს, იგი შეიძლება თვით ბიოლოგიური თუ ქიმიური იარაღის საშიშროებასაც კი აღემატებოდეს.[26]

2.2 ტერორიზმის დეფინიცია

ტერორიზმის ცნების განსაზღვრა მსოფლიო მეცნიერებისა და დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. საფრთხის დიდი მნიშვნელობის გამო ტერორიზმს სხვადასხვა ასპექთით იხილავენ. არამარტო საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სახელმწიფოები, არამედ მეცნიერებიც კი ვერ თანხმდებიან ტერორიზმის ცნების

[23] I.O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. Rand. 1999. p16-17.
[24] Dr.D J.W. Vanderhoof, The Criminology of Terrorism. Copyright © 2001, The University of North Carolina at Pembroke, www.uncp.edu- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21
[25] M. Littleton, “Information Age Terrorism,” Ma thesis, U.S. Naval Postgraduate School, 1995 p.42
[26] W. Laqueur, “Postmodern Terrorism,” Foreign Affairs, Vol. 75, No. 5, September/October 1996,p.35.

ერთიან ყველასათვის მისაღებ იურიდულ განსაძღვრების შემუშავებაზე. ამჟამად ტერორიზმის დაახლოებით 200-მდე განსაძღვრება არსებობს და მათგან არცერთია საყოველთაოდ მიღებული. აღნიშნული განპირობებულია, როგორც ტერორიზმის ფენომენის სირთულით, ასევე შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული სუბიექტური ფაქტორებით.

დღეისათვის არსებული ტერორიზმის დეფინიციებიდან, როგორც წესი ყოველივე აღწერს მის რომელიმე ასპექტს. ტერორიზმში უმთავრესად მოიაზრება ძალადობა, დაშინება, ძალადობრივი ქმედება და მუქარა. თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის ცნება გულისხმობს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ თუ ტერორიზმისათვის სხვა რაიმე კონკრეტული სახის სარგებლის მოპოვების მიზნით ტერორისტების მიერ, ცალკეული პირთა ჯგუფის თუ სხვა ობიექტების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებას ან მისი გამოყენების მუქარას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მიხედვით ტერორიზმი არის, დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებს (სტრატეგიულს,პოლიტიკურსა და ეკონომიკურს), ასევე საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანთა ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და ქონებას.

ტერორიზმში უნდა ვიგულისხმოთ დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც გამოიხატება ძალადობაში ან მის გამოყენების მუქარაში ცალკეული პირთა ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ; რომელსაც თან ერთვის მოსახლეობის დაშინება, ადამიანებში შიშისა და დაძაბულობის დანერგვა ტერორისტებისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის მიზნით; იგი გამოირჩევა გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროებით და ტერორისტული აქტის ჩადენის საჯაროობით. ამასთან, ტერორისტთა მიზნები შეიძლება სხვადასხვა იყოს: რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ.[27]

ტერორიზმის არსის განსაზღვრის მნიშვნელობას განაპირობებს ტერორიზმის, როგორც დამოუკიდებელი ცნების განმარტების აუცილებლობა. მკვლევარები დიდი ხანია ცდილობენ, ზუსტად განმარტონ აღნიშნული არსი, თუმცა, კვლევის სირთულისა და სხვა დამატებითი დარკოლებების წარმოქმნის გამო, საყოველთაოდ არცერთი განმარტება იქნა მიღებული. დამაბრკოლებლად იქცა ის გარემოეაც, რომ ტერორიზმი, როგორც მოვლენა სხვადასხვა

[27] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009. გვ.8

ასპექტში შეისწავლებოდა. თითოეული მკვლევარი მოცემულ მოვლენას მისთვის საინტერესო კუთხით განიხილავდა და ტერორიზმის განმარტებას საკუთარ ინტერპრეტაციას ანიჭებდა.[28]

ტერორიზმის არსში უნდა ვიგულისხმოთ მისი დამახასიათებელი თვისებები, განმასხვავებელი ნიშნები და თავისებურებების ერთობლიობა, რაც ტერორიზმისთვის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი კატეგორიისთვის არის ნიშადობლივი. თანამედროვე იურიდიული ლიტერატურაში ტერორიზმის, როგორც დანაშულებრივი ქმედებოს შემდეგ განმასხვავებელ ნიშნებს გამოყოფენ:

1) ტერორიზმი ქმნის დიდ საზოგადოებრივ საფრთხეს, რომელიც საყოველთაოდ სახიფათო ქმედების ან ამ ქმედების ჩადენის მუქარის შედეგად წარმოიშვება.

2) ტერორისტის განზრახვაა მძევლად აყვანილ პირთა ან აფეთქების ადგილის მახლობლად მყოფ ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა.

3) ტერორისტული აქტი საჯაროდ სრულდება, სხვა დანაშულებრივი ქმედება გამორიცხავს საჯაროობას. ის ხორციელდება მხოლოდ იმ პირთა ინფორმირებით, რომელთა ქმედებაშიც თავად დანაშავეა დაინტერესებული. ტერორიზმი კი, საყოველთაო გახმაურების, პირობების ღიად წაყენების გარეშე არ არსებობს.

4) ტერორიზმისთვის დამახასიათებელია შიშის, დეპრესიისა და დაძაბულობის განზრახ დანერგვა. ამასთან, მსგავსი გარემო იქმნება არა ინდივიდუალურ ან ვიწროჯგუფურ, არამედ სოციალურ დონეზე და რამოადგენს ობიექტურად აღმოცენებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორს, რომელის გავლენას ახდენს სხვა პირებზე და უბიძგებს მათ ტერორისტთა ინტერესების სასარგებლოს გარკვეული ქმედების ჩადენის ან მათი პირობების მიღებისკენ. აღნიშნული გარემოების იგნორირება იწვევს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში ტერორიზმად სოციალურ გარემოში შიშისა და დაძაბულობის გამომწვევ ნებისმიერ ქმედებას შერაცხავენ. თუმცა, ტერორიზმი სწორედ იმით განსხვავდება აღნიშნული ქმდედებისაგან, რომ საფრთხისშემცველი გარემო იქმნება არა უშუალოდ დაშინების, არამედ სხვა მიზნების მიღწევისთვის. შიში ამ შემთხვევაში არის მიზანმიმართული ზეგავლენის ერთგვარი ობიექტური ბერკეტი, რომლის დროსაც მისი დანერგვა არა თვითმიზანი, არამედ გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებაა. ამგვარად, საფრთხისშემცველი გარემოს შექმნა არის ტერორიზმის გამოხატულება, მისი არისის გამომჟღავნება და არა საბოლოო მიზანი.

[28] А.-М. Лизен Заметки по поводу эффективной борьбы против терроризма.Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.:«Междунар. отношения», 2002. ст.23-24

5) ტერორიზმისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ ძალადობა მიმართულია ერთ ობიექტზე (ადამიანზე, ადამიანთა ჯგუფზე, ქონებაზე), ხოლო გარკვეული ქმედების განხორციელებაზე დაყოლიების მიზნით ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხორციელდება სხვა პირზე. ანუ კონკრეტული პირის გადაწყვეტილებაზე გავლენა მიიღწევა არა უშუალოდ მის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებით, არამედ გარეშე დამაშინებელი ფაქტორების გამოყენებით, როდესაც ეს პირი თავად (თუმცა იძულებით) იღებს გადაწყვეტილებას, დააკმაყოფილოს ტერორისტების მოთხოვნები.[29]

ამასთან, ზეგავლენა იმ ადამიანებზე, ვისგანაც ტერორისტები გარკვეული შედეგს მოელიან, შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. მაგალითად, მთავრობისაგან გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ნაციონალ-სეპარატისტების მიერ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში მოწყობილ აფეთქებები სოციუმზე პირდაპირ ზეგავლენის მოხდენის კლასიკური ნიმუშია. იგივე ქმედება, ჩადენილი რომელიმე პირის მიერ საზოგადოებაში სახელისუფლებო პარტიის, როგორც წესრიგის დამყარების „უუნარო“ ძალის მიმართ უნდობლობის დათესვის მიზნით, რათა ამ ფონზე დაიწყოს მოსახლეობისთვის რეგიონში ან ქვეყანაში ვითარების გაუმჯობესების დაპირების მიცემა გარკვეული კანდიდატისთვის არჩევნებზე უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ, არის არაპირდაპირი ზეგავლენის მაგალითი.[30]

ტერორიზმის არსის შესწავლისას თავს იჩენს გარკვეული სირთულეები. მაგალითად, გ.ვ.ოვჩინიკოვა აღნიშნავს, რომ ტერორიზმის განსაზღვრისა და მისი იურიდიული გაფორმებებისადმი ერთიანი მიდგომის მთავარი დამაბრკოლებელი ფატორი უკიდურესად პოლიტიზირებული შეფასებებია.[31]

ტერორიზმის არსისა და ცნების განსაზღვრის კიდევ ერთი დამაბრკოლებელ ფაქტორს ტერორიზმისა და ტერორის ცნებების გაიგივების პრობლემა წარმოადგენს. ხშირად ეს ცნებები სინონიმებად იხმარება.[32]

თანამედროვე საზოგადოება ტერორიზმის ბევრ სახეობას შეეჯახა და ამ ტერმინის კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვა აღარ აქვს, რადგან ტერორიზმად თვლიან ისეთ

---

[29] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009. გვ.9-10

[30] В.П. Емельянов Терроризм и преступления с признаками терроризирования: уголовно-правовое исследование. – СПб.: Издательство «Юридический центр Пресс», 2007. Ст.24-28

[31] Г.В. Овчинникова Терроризм: Серия «Современные стандарты в уголовном праве и уголовном процессе» / Науч. редактор проф. Б.В. Волженкин. – СПб., 1998. Ст.7

[32] Л.Н Цой. Новый взгляд на борьбу: с терроризмом или с террористом (размышления социолога).Терроризм: современные аспекты –М., 1999. Ст.289

სისხლისამართლებრივ ქმედებებს, როგორებიცაა გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანის გატაცება, პოლიტიკურ ნიადაგზე მკვლელობა, თვითფრინავის გატაცება და სხვა.

სიტყვა ტერორიზმი მასობრივ ხმარებაში მე-18 საუკუნის ბოლოს, საფრანგეთის დიდი რევოლიციის დროს გამოჩნდა, კერძოდ იაკობინელების მიერ ორგანიზებული „რევოლუციური ტერორის“ დროს. ერთ-ერთ ფრანგული ცნობის თანახმათ, იაკობინელები ამ ცნებას თავის მიმართებაში დადებითად იყენებდნენ. ხოლო საფრანგეთი დიდი რევოლუციის შემდეგ სიტყვა ტერორიზმა უკვე მიიღო უარყოფითი შეფასება და ის გახდა დანაშაულის სინონიმი.[33]

1937 წელს გაერომ, ერთა ლიგის პროექტზე დაყრდნობით პირველებმა ცადეს ტერორიზმის ცნების განმარტება და მივიდნენ ამ დასკვნამდე, რომ ტერორიზმი არის „ყველა კრიმინალური აქტი, მიმართული უშუალოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ან საზოგადოებაში მთლიანად, ტერორის მდგომარეობის შექმნის მიზნით, რომელსაც არ გააჩნია გამამართლებელი გარემოება, მიუხედავად იმისა რომ მათი პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობირვი, ეთნიკური თუ რელიგური საფუძვლები ამართლებას მათ ქმედებას.“[34]

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა ნათლად გვაჩვენა, რომ ტერორიზმისთვის უმთავრესი არის არა ძალადობა, არამედ მოსახლეობის დაშინება და ზიანის მიყენებაა. ამ ტერაქტმა შეცვალა ადამიანების დამოკიდებულება ტერორიზმის მიმართ. ხალხმა გაანალიზა საშინელი რეალობა და გააცნობიერა საკუთარი ძალების უსუსურობა.

ტერორიზმი ზიანს აყენებს, როგორც შინდა სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო მართლწესრიგს. იგი შეიძლება განახორციელოს, როგორც ცალკეულმა პირებმა, ასევე პირთა ჯგუფებმა. დანაშაულის ჩამდენი პირები შეიძლება მოქმედებდნენ სახელმწიფოს ინტერესებით ან საკუთარი მიზეზებიდან გამომდინარე, როგორიცაა პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა.[35]

ტერორისტული ორგანიზაციებს და დაჯგუფებებს ახასიათებთ ცვალებადი ბუნება, რაც ორი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: პირველი ჯგუფის რაოდენობითი ზრდა ანგარიშებიან ან იძულებით, მეორე ჯგუფის თვისობრივი ორგანიზაციულ-სტრუქტურული გაფართოება.[36]

სხვადასხვა ქვეყანაში ტერორიზმის განსხვავებული განსაზღვრება არსებობს. მაგალითად სანკტ-პეტერბურგის ადმინისტრაციის ოფიციალურ საიტზე ტერორიზმი განმარტებულია, როგორც მეთოდი რომელიც მიხედვით ორგანიზებული ჯგუფი ან პარტია,

---

[33] А.З. Манфред, Великая французская революция, Москва, 1983, ст.191
[34] J. Ruperez, The United Nations In The Fight Against Terrorism, 2006. p.86
[35] W. Raymond Duncan, World Politics in the 21st Century (Third edition), 2005. p.178
[36] გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბ.,2002, გვ.114

ძალადობის სისტემური გამოყენებით ცდილობს მიაღწიოს თავის ძირითად მიზანს. ტერორისტული მოქმედება იღებს ყოველთვის სახალხო ხასიათს და მიმართულია ხალხზე და ძაუფლებაზე გავლენის მოსახდენად.[37]

ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოძიების ფედერალური ბიუროს ოფიციალურ საიტზე, ტერორიზმის ორ სახეს გამოყოფენ: საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ ტერორიზმს.

საერთაშორისო ტერორიზმი: ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი დანაშაულებრივი მოქმედება, რომელსაც ცალკეული პირები ან პირთა დაჯგუფბა ჩადის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან ან სახელმწიფოებთან და ფინანსდებიან მათ მიერ.

შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი: ძალადობრივი დანაშაულებრივი მოქმედება, გამოყენებული ხელისუფლების, მთავრობის, ადამიანების ან ქონების წინააღმდეგ, რომელსაც ჩადის ერთი ან რამდენიმე პირი, იმ მიზნით, რომ მიაღწიონ იდეოლოგიურ მიზანს. მიზანი შეიძლება იყოს პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური ან ეკოლოგიური.[38]

ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ტერორიზმს ბევრი საერთო აქვს ორგანიზებულ დანაშაულობასთან და მართლაც, მათ შორის განსხვავება არის პირობითი. ხშირად საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები დახმარებისათვის ორგანიზებულ დანაშაულობას მიმართავენ (მაგალითად, პერუს ნარკობიზნესის წარმომადგენლების მჭიდრო კონტაქტები ჯგუფ „ნათელი გზის“ მეამბოხეებთან).[39] ორგანიზებული დანაშაულობა ხშირად იყენებს ტერორისტებს პოლიტიკოსების, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების და სხვათა შესაშინებლად ან გასანადგურებლად

თუმცა, მნიშვნელოვანია გამოვყოთ მათ შორის რა განსხვავებაა:

ტერორისტული ჯგუფები, ჩვეულებრივ, უფრო იდეოლოგიზებულები არიან. დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფებები თავის ძალებს მიმართავენ უკანონო და ლეგალური ბიზნესისაკენ და ტერორისტული გაერთიანებებისგან განსხვავებით, არ ეხებიან არსებულ პოლიტიკურ სისტემებს.

ტერორისტები უმთავრესად მოქმედებენ სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად (ზოგიერთი ჯგუფებისთვის მთავარია შეინარჩუნოს სტატუს კვო ან

---

[37] https://www.gov.spb.ru/gov/terr/reg_admiral/antiterror/chto-takoe-terrochto-takoe-terrorizmrizm/- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[38] https://www.fbi.gov/investigate/terrorism- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[39] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალ დამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბ.,2003, გვ.339

დაუბრუნდეს სტატუს კვო ანტეს). მათგან განსხვავებით, კრიმინალური ორგანიზებული გაერთიანებები ისწრაფვიან პირადი მატერიალური კეთილდღეობისაკენ (თუმცა ისინიც მიმართავენ ძალადობას სტატუსის დამკვიდრების ან გართობისათვის.)[40]

პასუხისგებაში მიცემული ტერორისტები აღიარებენ მათ მიერ ჩადენილ ქმედებებს, თუმცა არ თვლიან მათ დანაშაულებრივად. ტერორიზმს ახასიათებს საზოგადო ხასიათი, ცდილობენ სასამართლო პროცესები გამოიყენონ თავიანთი იდეების დეკლარირებისა და პროპაგანდის ტრიბუნად, ლატენტურობა არ ეთავსება ტერორიზმის კრიმინოლოგიურ ბუნებას მაშინ, როდესაც დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების წევრები, ჩვეულებრივ, ცდილობენ რაც შეიძლება დამალონ თავიანთი ნამოქმედარი, აირიდონ პასუხისმგებლობა და არ განავრცონ ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ.[41]

ტერორისტული ჯგუფების მიზანია, რომ გააფართოვოს თავიანთი მიმდევართა წრე და მრავალი ხერხით ცდილობენ ახალი წევრების მოზიდვას, ხოლო ორგანიზებულ ფორმირებებს ასეთი რამ არ ახასიათებს, ისინი შეძლებისდაგვარად ზღუდავენ მათ ჯგუფში ახალი წევრების გაწევრიანებას.

ტერორისტები კონკურირებენ კანონიერ მთავრობებთან მოსახლეობის ფართო მასებში, რათა მიიღოს თავისი იდეოლოგიისა და საქმიანობის მორალური მხარდაჭერა, ორგანიზებული დანაშაულობა კი ცდილობს არ მოახდინოს თავისი არსებობისა და საქმიანობის საჯაროდ გახმაურება.

ტერორისტული ფორმირებათა მოღვაწეობის შედეგად ვიქტიმიზაცია უფრო დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, განსხვავებით ორგანიზებული დანაშაულობისაგან.

ტერორისტთა მსხვერპლი ხშირად უდანაშაულო მოქალაქეები ხდებიან, ორგანიზებული დანაშაულობის შემთხვევაში, დანაშაულის მოტივსა და დაზარალებულს შორის კავშირი უფრო გამოკვეთილია.[42]

ტერორისტული ჯგუფები უფრო იშვიათად კონკურირებენ ერთმანეთთან გავლენის სფეროებისა და ტერიტორიებისათვის, ვიდრე დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებები; თუმცა, ტერორისტული ჯგუფები ხშირად მიმართავენ ძალადობას სხვა, იდეოლოგიურად ნაკლებად რადიკალური გაერთიანებების მიმართ და ანადგურებენ მათ.

---

[40] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალ დამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში თბ.,2003, გვ.339

[41] http://author.nbpublish.com- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[42] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბ.,2003, გვ.340

როგორც ორგანიზებული, ისე ტერორისტული ორგანიზაციების წევრები ძირითადად რაციონალური დამნაშავეები არიან, ე.ი ორივე გაერთიანების ნაირსახეობა მოქმედებს მიზანმიმართულად, თუმცა ტერორისტები ნაკლებად რეალისტები არიან სოციალური და პოლიტირკული სიტუაციის შეფასებაში.[43]

დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფებები და ტერორისტული ფორმირებები მიმართავენ მოსახლეობის დაშინებას და ფიზიკურ ძალადობას, თუმცა ძალადობა, ჩადენილი ტერორისტების მიერ, არღვევს ძირითად მორალურ ნორმებს და ქმნის დისპროპორციულ ეფექტს. ძალადობა, რომელსაც მიმართავენ ტერორისტები, შეიძლება იყოს არაპირდაპირი, ანუ ძალადობას ექვემდებარება შემთხვევით შერჩეულ პირთა ჯგუფი, ქმედების მიზანი კი სხვათა უსიტყვო მორჩილებაა, ასეთივე აქტივობას აქვს ადგილი დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების შემთხვევაშიც. მაგალითად, ჯგუფები, რომლებიც აკონტროლებენ ორგანიზებულ პროსტიტუციას, აწარმოებენ ქალთა გადაბირებას სხვა ქვეყნებში სამუშაოდ. საკმაოდ ხშირად ქალებს იძულებით აბამენ აღნიშნულ საქმიანობაში და წინააღმდეგობის შემთხვევაში მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში ბავშვებზე ან ნათესავებზე შესაძლო შურისძიებით ემუქრებიან. ხშირად დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობა გლობალურ ეკონომიკაში ჩაბმასთანაა დაკავშირებული და არც კონკრეტული დაზარალებულები ჰყავს. ამავე დროს, ტერორისტების საქმიანობას ყოველთვის თან სდევს მსხვერპლი, თუმცა ძალადობას შეიძლება შემთხვევითი ხასიათიც ჰქონდეს, როდესაც ის არ არის დაკავშირებული აქტუალურ მიზნებთან ან კონკრეტულ დაზარალებულებთან. რიგ შემთხვევებში ორგანიზებული დანაშაულის ფორმირებების წევრები თვითონ აწყობენ ან მონაწილეობენ ტერორისტულ აქტებში, რათა უფრო შეუბრალებლად წარმოჩნდნენ, აიმაღლონ ავტორიტეტი ან მოატყუონ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები.[44]

დაჯგუფებების ორივე ტიპი მიმართავს კრიმინალურ აქტივობას თავისი საქმიანობის ფინანსირებისათვის. ტერორისტული ჯგუფების მიზანი ძირითადად არის პოლიტიკური, ხოლო ორგანიზებული დანაშაულის ფორმირებებისა - ეკონომიკური, მათ სურთ მაქსიმალური სარგებელი მინიმალური რისკის ფასად. თუმცა, ფორმირებების ორივე ტიპი სისტემატურ ფინანსურ შემოსავალს საჭიროებს არსებობისთვის. ამასთან, ტერორისტები თავისი ფინანსური

[43] M. Amir, "Political terrorism an common criminality: some preliminary consideration", Violence, Aggression and Terrorism vol.1, p.377-378

[44] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში თბ.,2003, გვ. 342

მარაგის შესავსებად ხშირად ჩადიან მარტივ სისხლის სამართლის დანაშაულს, დასაწყის ეტაპზე მაინც (თუ არ ჰყავთ დაინტერესებული უცხოელი სპონსორები).[45]

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ხშირად არის მჭიდრო სიმბიოზურ მდგომარეობაში თავის მსხვერპლთან - ფიზიკურ პირებთან და ორგანიზაციებთან, მათ კორუფციული კავშირები აქვთ თავიანთი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან, რაც გამორიცხულია ტერორისტული ჯგუფების შემთხვევაში, რადგან მათ მკაცრი წინააღმდეგობრივი ურთიერთობა აქვთ, როგორც სახელმწიფოსთან, ასევე მის მოქალაქეებთან.[46]

ამჟამად უკვე ნათელია, რომ დამნაშავეთა ეთნო-კლანური, პოლიტიზებული, ზოგადი სისხლისსამართლებრივი მიმართულების გაერთიანებები აქტიურად სარგებლობენ ტერორისტთა მეთოდებით. ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის ისინი ამზადებენ სპეციალურ დივერსიულ ჯგუფებს და ცალკეულ ფანატიკოს მკვლელებს. მაგალითად, აფხაზური და ჩეჩნური კლანები იყენებენ რუსეთის სპეციალური სამსახურების ინსტრუქტორების, სხვადასხვა ავღანური და არაბული ტერორისტული ფორმირებების გამოცდილებას, მაგრამ ეთნო-კლანები თავისი შინაარსით და სოციალური მიმართულებით უფრო მეტად ორგანიზებულ დანაშაულობას განეკუთვნებიან, ვიდრე ტერორისტულ ორგანიზაციებს, რადგან მათი საქმიანობა მიმართულია არა გათელილი უფლებების ან ისტორიული სამართლის აღდგენისკენ, არამედ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისკენ, ეთნოკონტროლის დაწესებისა და ეკონომიკის შედარებით მომგებიან სფეროებზე გაბატონებისკენ.[47]

2.3 ტერორიზმის წარმოშობის მიზეზები, ფორმები და სახეები

ტერორიზმის წარმოქმნას სხვადასხვა პირობები უწყობს ხელს, კაცობრიობის ისტორიაში კი ტერორიზმის მატარებელი ნიშნების მქონე მოვლენები მრავლად მოიძნებნება.

ძალადობრივი მეთოდებით მიზნების მიღწევის მცდელობები საზოგადოების განვითარების თითქმის ყველა ეტაპს ახასიათებდა. მაგალითად: თავისუფლებისათვის,

---

[45] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბ.,2003, გვ.343

[46] G. William, The Encyclopedia of Police Science, NY, 1995, p.495

[47] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბ.,2003, გვ.343-344

ძალაუფლებისათვის, ახალი ტერიტორიებისათვის, სამართლიანობისათვის, კეთილდღეობისთვის თუ იდეის გამარჯვებისათვის ბრძოლა.

გარდა ამისა გაეროს სპეციალურმა კომიტეტმა 1979 წელს გამოსცა ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების ფორმულირება, რაც იწვევეს ტერორიზმს: ნეოკოლონიალიზმი, რასიზმი, აგრესიული პოლიტიკა, უცხო ტერიტორიების ოკუპაცია და მათი შედეგები: უსამართლობა არათანასწორობა, დაკნინება და ექსპლუატაცია.[48]

ტერორიზმი ზემოქმედებს მასობრივ ფსიქოლოგიაზე, საზოგადოებრივ აზრზე და ამით ცდილობს წარმართოს მოვლენები სასურველი მიმართულებით, ამისათვის მას ჭირდება რეზონანსი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ყოველგვარ აზრს კარგავს. ტერორისტული აქტი მოითხოვს რაც შეიძლება ფართო, უკეთეს შემთხვევაში გლობალურ აუდიტორიას. აქედან, ტერორიზმის არსებობის პირველი ხელშემწყობი პირობაა ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება. რაც უფრო ვითარდება მასმედია, რაც უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მით უფრო ძლიერია ტერორისტული აქტის ზემოქმედება. ნებისმიერი ტერორისტული აქტი კარგავს აზრს, თუ მის შესახებ შეტყობინებამ არ მიაღწია არა მარტო უშუალოდ ადრესატამდე (მაგ., ხელისუფლებამდე), არამედ საზოგადოების ფართო აუდიტორიამდე.[49]

ტერორიზმის წარმოშობა და განვითარება შეიძლება მოხდეს როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოებიში, ასევე დიქტატორულშიც. რა სისწრაფითაც ვითარდება ეს სამყარო სწორედ იმავე სისწრაფით ვითარდება ეს დანაშაულიც. ტერორისტები აღჭურვილნი არიან უახლესი სამბრძოლო მასალებით, საკომუნიკაციო სისტემებით, მათ მარტივად შეუძლიათ ფარულად გადაადგილება, ისინი იყენებენ უამრავ მეცნიერულ მიღწევებს მათსავე სასიკეთოდ და ფაქტობრივად მათვის შეუზღუდავი და ხელმიუწომელი თითქმის არაფერია. ტერორიზმის ასეთ გავრცელებას ტექნიკურმა პროგრესმა ძალიან შეუწყო ხელი.

ტერორიზმის გავრცელებას, ხელს უწყობს მსოფლიო ქვეყნებს შორის, აგრეთვე ცალკეული ქვეყნებსი, უთანასწორობის ზრდა, სოციალური დაძაბულობის გარღმავება, ტრადიციული საზოგადოების ღირებულებების გაუფასურება, ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, ადამიანის

[48] გ.ქელდიშვილი, ტერორიზმი და ტერორისტული აქტები, თბ.,2015, გვ.43
[49] ს.ჩქოფოია, ნ.ლომიძე და სხვ. საერთაშორისო ტერორიზმი(იდეოლოგია და პოლიტიკა), თბ.,2015, გვ.14

სიცოცხლის ფასისადმი მკვეთრად განსხვავებული დამოკიდებულება სხვა და სხვა კულტურის ქვეყნებში და სხვა.[50]

ტეორიზმის ხელშემწყობ პირობას ასევე წარმოადგენს ტერორისტების საქმიანობის მიმართ მოსახლეობის, თუდაც მისი ნაწილის, თანაგრძნობას, ხშირად გუგლგრილობა ან რეალური საფრთხის განცნობიერების უუნარობა. ტერორისტები ხშირად წარმოდგენილნი არიან როგორც გამათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლები, ამიტომ მათ სჭირდებათ მხარდაჭერა და კეთილ განწყობილი გარემო, რისი მაგალითიც აქვთ მუსლიმურ ქვეყნებში.[51]

ტერორიზმის განსაკუთრებული სირთულე მის ფორმათა მრავალფეროვნებაში მდგომარეობს. ცნობილი ქართველი თუ უცხოელი პოლიტოლოგები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და სამართალმცოდნეები ტერორიზმის სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას სხვადასხვა ჭრილში ახორციელებენ. მათი ასეთი მიდგომა მეცნიერებს საშუალებას აძლევს უფრო მყარად დაასაბუთონ ტერორიზმის საზოგადოებრივი საფრთხე და გამოავლინონ ის ნიშნები, რომლებიც მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივ ასპექტში, რათა სწორად გასაზღვრონ ტერორისტული დანაშულის შემადგენლობა.

ტერორიზმისა და მისგან მოსახლეობის დაცვის პრობლემისადმი მიძღვნილ ტრასნამერიკულ კონფერენციაზე ადამიანთა უფლებების შესახებ (1970 წ.), ტერორიზმის სამი ფორმა დასახელდა: სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური.[52]

პოლიტოლოგი დ.ვ ოლშანსკი ტერორიზმის განსაკუთრებით „მსხვილ“ სახეობებს მიაკუთვნებს: პოლიტიკურ - სხვადასხვა სახის ტერორისტული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკურ ლიდერებზე, ხელისუფლებაზე და მათ მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ზეგავლენას, ამა თუ იმ პოლიტიკურ ნაბიჯებისა თუ სახელისუფლებო გადაწყვეტილების იძულებას; საინფორმაციო - უშუალო ზეგავლენა ადამიანთა ფსიქიკასა და ცნობიერებაზე, იმ საჭირო შეხედულებებისა და აზრის ფორმირების მიზნით, რომლებიც გარკვეულწილად წარმართავენ ადამიანთა ქცევას; ეკონომიკური - დისკრიმინაციური ხასიათის სხვადასხვა ეკონომიკური ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ კონკურენტებზე, სოციალურ ჯგუფებსა და მოსახლეობის ფართო ფენებზე, აგრეთვე სახელმწიფოებისა და მათ იდერებზე ზეგავლენას ტერორისტებისთვის ეკონომიკურად სარფიანი, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით; სოციალურ (საყოფაცხოვრებო) ტერორიზმს - ქუჩური დანაშაულის თარეში,

---

[50] ს.ჩქოფოია, ნ.ლომიძე და სხვ. საერთაშორისო ტერორიზმი(იდეოლოგია და პოლიტიკა), თბ.,2015, გვ.15

[51] იქვე გვ.16

[52] Г.В. Овчинникова Терроризм, Серия Современные стандарты в уголовном праве и уголовном процессе, 1998. ст.9

მზარდი კრიმინალიტეტი, საერთო სოციალური არასტაბილობა და მასობრივი საყოფაცხოვრებო მოუწყობლობა.[53]

სუიციდური ტერორიზმი, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება განმარტებულია, როგორც გარკვეული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად საკუთარი სიცოცხლის შეწირვისათვის მზადყოფნა.

დღესდღეისობით არსებობს ათამდე რელიგიური თუ საზოგაოებრივი ტერორისტული დაჯგუფება, რომლებიც სუიციდურ ტერორიზმს ტაქტიკური ხერხის სახით საკუთარ ან უცხო ქვეყნების მთავრობათა წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებენ. აღნიშნულ დაჯგუფებებს მიეკუთვნება: წინააღმდეგობის ისლამური მოძრაობა „ჰამასი“ და „პალესტინის ისლამური ჯიჰადი“; ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე: „ჰესბოლა“ (ალაჰის პარტია) ლიბანში; „ეგვიპტის ისლამური ჯიჰადი“ და „ჰამასი ისლამია“ (ისლამისტური დაჯგუფება ეგვიპტეში); „შეიარაღებული ისლამისტური დაჯგუფება“ (GIA) ალჟირში; „ბარაბარ ჰალსა“ (BKI) საერთაშორისო დაჟგუფება ინდოეთში; „ტამილისა და ელამას გათავისუფლების ვეფხვები“ (LTTE) შრი-ლანკაში; ქურთისტანის მუშათა პარტია (PKK) თურქეთში; უსამა ბენ-ლადენის ტერორისტული ორგანიზაცია „ალქაიდას“ ქსელი ავღანეთში. სუიციდური ტერორიზმის მაგალითია 2002 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში, ვაშინგტონისა და პენსილვანიაში მომხდარი ტრაგიკური მოვლენები, როდესაც თვითმკვლელმა ტერორისტებმა გაიტაცეს სამგზავრო თვითმფრინავები და მიმართეს ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე, რის შედეგადაც თითქმის 7 ათასი ადამიანი დაიღუპა (მათი უმეტესობა დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება), მათგან 266 ადამიანი გატაცებულ თვითფრინავებში დაიღუპა; 200-ზე მეტი ვაშინგტონში, 6 333 - ნიუ იორკში.[54]

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გამოყოფენ ტექნოლოგიურ ტერორიზმს, რომელიც გულისხმობს ბირთვულ, ქიმიურ, ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაჭია ან მისი კომპონენტების, ატომური, რადიოაქტიური, მაღალტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების, პათოგენური მიკტოორგანიზმების უკანონო გამოყენებას ან ქალაქებისა და ინდუსტრიული ცენტრების სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების მწყობრიდან გამოყვანას, განადგურებას ან ხელში ჩაგდებას პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მიზნებისათვის.[55]

---

[53] Д.В. Ольшанский Психология терроризма, 2002. ст.19-23

[54] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009. გვ.53-54

[55] ავტორთა კოლექტივი, კრიმინოლოგია და სამართლადამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატები და საქართველო, 2003. გვ.517

როგორც ა.კ მიკეევი აღნიშნავს, ქვეყანაში დანაშულის ზრდის ტენცენციებისა და ოპერატიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოტენციურად სახიფათო ობიექტები ტერორისტთა აქციების სამიზნედ შეიძლება იქცეს. ამასთან, დღესდღეისობით საკმაოდ რეალურია ბირთვული მასალების, ბირთვული წარმოებისა და იზოტოპური პროდუქციის ნარჩენების უკანონოდ ხელში ჩაგდების გზით რაციაციული ტერორიზმის განხორვიელების საშისროება.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ატომური საწარმოების დაცვის საინჟინრო ტექნიკური საშუალებათა კომპლექსების დაახლოებით 36% და დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმოქმნების კონტროლირებადი ზონების 76% რეკონსტრუქციას ან კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს, ხოლო დაცული შენობა-ნაგებობების 50%-ს სიგნალიზაციის მეორე ელექტრონული ზღვარი არ გააჩნია, რაც საგრძნობლად ამცირებს დამნაშავეთა გამოვლენის დონეს. ატომური ელექტროსადგურების განლაგების რაიონებში ადამიანთა და სატრანსპორტო საშუალებათა დაშვება შეზღუდული არაა. გარდა ამისა არცერთი ატომური ელექრტოსადგურზე სანაპირო წყალსატუმბი სადგურის მისადგომებთან არსებული აკვატორიები საინჟინრო-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი არ არის. სწორედ ეს არის ატომური ელექტროსადგურთა დაცვის სუსტი წერტილი. ამ გარემოებებმა შეიძლება შეუწყოს ხელი ობიექტებზე ან მის მახლობლად ტერორისტული აქტების მოულოდნელი განხორციელებისთვის ფარულ მომზადებას, შეაფერხოს პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება სიტუაციის უცაბედად შეცვლის შემთხვევაში. არანაკლებ სერიოზულ საფრთხეს ის ჰიდროტექნიკური ნაგებობებიც წარმოადგენენ, რომლებიც, როგორც წესი, მსხვილი ქალაქების მიდამოებში ან მდინარის დინების გაყოლებაზეა მაღლა განლაგებული. მათი განადგურება ადამიანთა დაღუპვის, ფართო ტერიტორიების, მათ შორის, ეკონომიკური და სტრატეგიული ობიექტების დატბორვის მიზეზი ხდება. შესაძლებელია ითქვას, რომ ტექნოლოგიური ტერორიზმი არის ტერორიზმის სხვადასხვა სახეობათა გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა და არა მისი დამოუკიდებელი სახე.[56]

კ.ნ სალიმოვი გამოყოფს კრიმინალურ ტერორიზმს. ავტორის მისაზრებით, ტერორიზმის აღნიშნული სახე, როგორც ორგანიზებული დანაშაულის უმაღლესი ფორმა, შეიძლება გამოვლინდეს როგორც კრიმინალური გარჩევის უკიდურესი ზომა და არ წარმოადგენს ანგარებით ჩადენილი ძლაადობრივი დანაშაულის მხოლოდ თანმხლებ ელემენტს. კ.ნ

[56] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009. გვ.54-55

სალიმოვის მიხედვით, ტერორისტული კრიმინალური ფორმირებები, პროდუქციის ან გავლენის სფეროს გამო კონკურენტებთან გარჩევების დროს, როგორც წესი, იარაღისა და ასაფეთქებელ მოწყობილობებს იყენებენ და დანაშაულს საჯაროდ, „ზოგჯერ ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების თვლაწინ“ სჩადიან.[57]

ნ.დ ლიტვინოვი გვთავაზობს ცნებას ანტისახელმწიფოებრივი ტერორიზმი, რომელშიც ავტორი გულისხმობს გარკვეული პირთა ან ორგანიზებულ ფორმირებათა მიზანმიმართულ საქმიანობას, რომელიც ორიენტირებულია სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციის, მმართველობის ფორმის ან სახელმწიფო-პოლიტიკური რეჟიმის შეცვლაზე, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მოშლაზე, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოს ფუნქციონირების რღვევაზე, რაც ხორციელდება კრიმინალური (ტერორისტული) მეთოდებით.[58]

ამრიგად, ტერორიზმი შეიძლება დაიყოს შემდეგ დამოუკიდებელ სახეობებად: ტერორისტული ნიშნით - საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი; ხოლო დანაშულებრივი მოტივაციის მიხედვით - პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალისტური და ეკონომიკური.

ამგვარად, ტერორიზმის სახეობათა მრავალფეროვნების მიუხედავად, მისი კლასიფიცკაციის თაობაზე პოლემიკა იურიდულ მეცნიერებაში მოცემული პრობლემის შემდგომი კვლევის საჭიროებას ცხადყოფს, რაც მწვავე პრაქტიკული აუცილებლობითაც არის განპირობებული.

სპეციალისტების აზრით, დღეისათვის შეიზ̌ება გამოვყოთ ტეორიზმის 20-ზე მეტი ნაირსახეობა, რომელთა შორისაა პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალურ-სეპარატისტული, ქიმიური, ბიოლოგიური, ნარკოტიკული და კომპიუტერული ტერორიზმიც კი (ამ აქტებს ხშირად კომპიუტერული ჰაკერები მიმართავენ). სპეციალისტების აზრით, ახლო მომავალში შესაძლოა აქტუალური გახდეს კოსმოსური ტერორიზმიც, რომლის დროსაც მუქარა ან ტერაქტი განხორციელდება კოსმოსიდან. ტერორიზმის საფრთხე ემუქრება ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავს დამოუკიდებელ ქვეყნებს, რომლებიც რთულ გეიპოლიტიკურ სივრცეში ცხოვრობენ. საქართველოს ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა.

[57] К.Н. Салимов, Современные проблемы терроризма.1999. ст.160-162

[58] Н.Д. Литвинов Антигосударственный терроризм: понятие и виды (историкокриминологический аспект).1999. ст.55-66

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ.[59]

როგორც უკვე ითქვა მოქმედებათა მასშტაბების მიხედვით განასხვავებენ: შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ტერორიზმს. შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი - არის ძალის ან ძალადობის უკანონო გამოყენება - ადამიანის ან ქონების წინააღმდეგ, არსებული ხელისუფლების, მთავრობის, სამოქალაქო მოსახლეობის ან ნებისმიერი მისი სეგმენტის დაშინებისათვის პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მიღწევის მიზნით.

საერთაშორისო ტერორიზმი - არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ ორგანიზებული ან დაფინანსებული ტერორისტული ქმედება. საერთაშორისო ტერორიზმი იმართება ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ გარედან, მხარდამჭერი ქვეყნების ან ორგანიზაციების მიერ.

მოტივაციის მიხედვით განარჩევენ: პოლიტიკურ, რელიგიურ, ნაციონალურ (ეთნიკურ), ბიოლოგიურ, ქიმიურ, ბირთვულ და სხვა სახის ტერორიზმს.

პოლიტიკური ტერორიზმი - ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნაირსახეობაა და ნიშნავს ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენებას თანამდებობის პირების, მოსახლეობის, ობიექტების წინააღდეგ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. იგი ხორციელდება ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც რომელიმე მთავრობის დავალებით ან რომელიმე მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ, თუმცა, აქ არ უნდა გამოვრიცხოთ ისეთი მოტივაცია, როგორიცაა შურისძიება, ანგარება, ეკონომიკური კონკურეცია და სხვა.

რელიგიური ტერორიზმი - როცა ერთმანეთს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები უპირისპირდებიან და ხდება ერთ რელიგიური სარწმუნოების წარმომადგენელთა მიერ მეორე სარწმუნოების მიმდევართა დაშინება ძალადობის გზით. რელიგიური ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ისლამური ტერორიზმი. „ალაჰის ნების“ აღსასრულებლად ისლამისტ-ფუნდამენტალისტებს ტერორიზმი ყველაზე მძლავრ იარაღად მიაჩნიათ. ისინი ამ გზით ცდილობენ დასაჯონ, შეაშინონ დასავლეთის ქვეყნები და შთააგონონ მუსულმანური სამყაროს, უარი თქვან დემოკრატიულ ფასეულობებზე.

ნაციონალურ (ეთნიკური) ტერორიზმს - საფუძვლად უდევს ეთნიკური განსხვავება და ერთი ეთნოსის მოსახლეობის მიერ მეორის დაშინებას გულისხმობს იმ მიზნით, რომ მიაღწიონ

[59] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009. გვ.59

დომინირებულ მდგომარეობას, სახელმწიფოსგან მოითხოვონ ტერორისტული ერთეულების გამოყოფა, მმართველობის ორგანოების შექმნა, სხვადასხვა პრივილეგიები.

ნარკოტიკული ტერორიზმი - დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების მასობრივი გავრცელებაა ამა თუ იმ სახელმწიფოში ან მის რომელიმე ნაწილში, რაც საფრთხეს უქმნის მრავალი ადამიანის სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას; ასეთივე ქმედებაა, მიმართული რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად. საკუთარი სახიფათო შედეგებით ის არცერთი ტერორისტული ხასიათის დანაშულს ჩამოუვარდება, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგი პირდაპირ ემუქრება ქვეყნის, ერის გნეოფონდს, ანადგურებს ადამიანთა ფსიქიკას, აპროვოცირებს სხვა მძიმე დანაშულ ქმედებებს.[60]

ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული ტერორიზმი - ტერორიზმის სპეციფიკური ნაირსახეობაა, რომლის დროსაც ძალადობის ინსტრუმენტად გამოიყენება ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული იარაღი, ან მატი შემცველი კომპონენტები. მათ გააჩნიათ მოქმედების ფართო დიაპაზონი, როგორც შესაძლო ზიანის ხასიათისა და ხარისხის, ისე მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით. მსგავსი იარარის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა უზარმაზარი მსხვერპლი, ეპიდემიის დიდი კერების აღმოცენება, ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ა.შ.[61]

ფიზიკური და სულიერი - ფიზიკურ ტერორიზმი გულისხმობს მკვლელობებს, ადამიანთა გატაცებებს, მძევლად აყვანას და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებს რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. სულიერი ტერორიზმი კი ფიზიკურის დანამატია და გამოიხატება განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანების დევნა-დაშინებაში.

სელექციური და ბრმა ტერორიზმი - სელექციური ტერორიზმი მიმართულია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფზე ხოლო ბრმა ტეორიზმი შემთხვევითი ადამიანების წინააღდეგ.

პროვოკაციული - გულისხმობს სამიზნის პროვოცირებას კონტრზომების მიღების მიზნით.[62]

---

[60] P. Williams, Violent Non-State Actors and National and International Security, 2008. p17-40

[61] ჯ. გახოკიძე „ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებანი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში“ 2003, გვ.205-249

[62] Walter Laqueur, No End to War - Terrorism in the 21st century, 2003. p.102-106

ძალიან რთულია ტერორიზმი მოაქციო გარკვეულ კლასიფიკაციის ჩარჩოებში და შეიმუშავო ინდივიდუალური მიდგომა ტერორიზმის თითოეული სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო ფორმის შერჩევისათვის. ამას განსაკუთრებით ართულებს ის რომ ერთი რომელიმე სახეობა მრავლად შეიცავს სხვა სახეობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. სწორედ ამის გამო ძალიან რთულდება ტერორიზმის სახეობათა კლასიფიკაცია, მაგრამ გარკვეული მახასიათებლების მიხედვით, შესაძლებელია გამოვყოთ:

1. კრიმინალური ტერორიზმი - რომელსაც ფესვები თვით ადამიანში და იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში აქვს გადგმული, რომელშიც ამ ადამიანს უხდება ცხოვრება. მორალურად და ზნეობრივად ნაკლებად მდგრადი ინდივიდუალურად ან თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებებისა და მძევლების აყვანას ფულის გამოძალვის მიზნით. ტერორისტს შეიძლება სხვა მოთხოვნებიც ჰქონდეს. მაგალითად, ახლობელი პატიმრის ციხიდან გათავისუფლება და ა.შ.[63]

2. ფსიქიკურად დაავადებულთა და განდიდების მიზნით შეპყრობილ პირთა ტერორიზმი - არცთუ ისე იშვიათად ტერაქტებს ჩადიან ფსიქიკური გადახრების მქონე პირები, რომელბიც ავადმყოფური წარმოსახვის ზემოქმედებით ან განდიდების მანიით შეპყრობილები (ჰეროსტატეს კომპლექსი) თავს ესხმიან გამოჩენილ პიროვნებებს. მაგალითად, ანსამბლ „ბითლზის“ მომღერლის ჯონ ლენონის მკვლელობა 1979 წელს და ასევე, ჯონ ჰინკლის თავდასხმა აშშ-ის პრეზიდენტზე, რონალდ რეიგანზე 1981 წელს.[64]

3. იდეოლოგიური ტერორიზმი - დემოკრატიულ საწყისებზე აგებულ სახელმწიფოებში იდეოლოგიური (რევოლუციური და რელიგიურ-ფანატიკური) ტერორიზმი საზრდოობს იმ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის პრობლემებით, რომელთა აღმოფხვრა ცივილიზებული ფორმით შესაძლებელია. დემოკრატიულ სახელმწიფოებში ამგვარი სახის ტერორიზმი წმინდა დანაშაულებრივ და ფსიქოპათურ ხასიათს ატარებს. ტერორისტების მიზანია ძალის გამოყენებით ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი წყობის შეცვლა საკუთარი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური შეხედულებების მიხედვით ან პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურება. მიუხედავად ტერორისტების მიერ განხორციელებული უამრავი აქტისა და ადამიანთა მრავალრიცხოვანი სხვრეპლისა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მათ საქმიანობას წარმატება არ მოჰყოლია და თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული, რადგან მათ ორგანიზაციებს არასოდეს ჰქონიათ რაიმე სოციალური ბაზა,

[63] Shelden; Trasy; Brown; Youth Gangs in American Society, 2001. p.105-110

[64] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009. გვ.70

რომელზეც დაყრდნობითაც ისინი საკუთარ მიზანს მიაღწევდნენ. სამწუხაროთ, იდეოლოგიური ტერორიზმის მასშტაბები ფართია, თუმცა, სწორედ ეს მასშტაბებია მათი „აქილევსის ქუსლი“ და ტერორისტების წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებების გატარების საშუალებას გვაძლევს. ეფექტურ შედეგს იძლევა პოლიტიკური და კონტრდაზვერვითი მეთოდების გამოყენება.[65]

4. დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებული ორგანიზაციების ტერორიზმი - ამ სახეობების ტერორიზმი ყველაზე მეტად გავრცელებულია ლათინურ ამერიკის დიქტატორულ ქვეყნებში. ის საკმაოდ შეიცავს იდეოლოგიური ტერორიზმისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ მისგან მასშტაბებით განსხვავდება, რადგან ასეთ ორგანიზაციებს გარკვეული დასაყრდენი აქვთ მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში და ეწევიან სამოქალაქო ომს ტერორისტული ხერხების გამოყენებით არსებული რეჟიმის დამხობის მიზნით. იდეოლოგიური ტერორიზმისგან განსხვავებით, აჯანყებულთა ოგანიზაციების წინააღმდეგ პოლიციური მეთოდების გამოყენება შეუძლებელია, ამიტომ აჯანყებულებთან ბრძოლის მიზნით ხელისუფლება იყენებს ერთგულ სამხედრო შენაერთებს, რის გამოც სამოქალაქო ომი კიდევ უფრო წვავდება და იზრდება ადამიანთა მსხვერპლიც. ლათინურ ამერიკაში აჯანყებული ორგანიზაციები დაფინანსების წყაროს მოპოვებისთვის ხშირად ებმებიან ნარკობიზნესში. თავის მხრივ, ნარკომაფია დაინტერესებულია ასეთი ორგანიზაციებთან კონტაქტებით, რადგან მათი ხელშეწყობით მნიშვნელოვნად უიოლდება დანაშაულებრივი საქმიანობის წარმართვა. ამგვარი კონტაქტების შედეგი კი ისაა, რომ აჯანყებულთა იდეებს კრიმინალური საქმიანობა ენაცვლება.[66]

5.“საინფორმაციო ლაშქრობა“ და „კიბერტერორიზმი“ - ტერორიზმის უახლეს ფორმად ე.წ „საინფორმაციო ლაშქრობას“ მიიჩნევენ. ამ „ლაშქრობის“ მიზანი მოწინააღმდეგის სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურაში არსებული იფრომაციისა და საინფორმაციო სისტემის განდადგურებაა. განარჩევენ საინფორმაციო ტერორიზმის ოს სახეს: 1) საინფორმაციო ტექნიკის ისეთი დაზიანება (ელექტორნული ან ფიზიკური), რომელსაც მყობრიდან გამოჰყავს საინფორმაციო სისტემით მანიპულირება მონაცემთა შეცვლის, მოპარვის ან საერთოდ სისტემის ფუნქციის შეცვლის გზით.

„კობერტერორიზმი“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც საიდუმლო აგენტებისა თუ სუბნაციონალური ჯგუფის მიერ კარგად დაგეგმილი, პოლიტიკურად მოტივირებული შეტევა ინფორმაციის, კომპიუტერული სისტემის, კომპიუტერული პროგრამებისა და ელექტრონული

[65] Sacco Kennedy,The criminal Event,2002, p.34-45

[66] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009. გვ.73

მონაცემების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვება სამოქალაქო პირთა დაშავება ან დაღუპვა. დღემდე ტერორისტული ჯგუფები ინტერნეტსა და სხვა საკომუნიკაციო ქსელებს ძირითადად პროპაგანდის, უსაფრთხო კავშირის, ინფორმაციის შეგროვების და ფონდების მართვისთვის იყენებდნენ, მაგრამ ბოლო დროს, სამიზნეები სამთავრობო სტრუქტურებიდან მოქალაქეებზე გადააქვთ. მართალია, ტერორისტული საქმიანობის ეს ტიპი ჯერ ფართოდ არ გავრცელებულა, მაგრამ მთავრობა ამგვარ შესაძლებლობათა არსებობის შესახებ კარგად უნდა იყოს ინფორმირებული, რათა შეძლოს მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა.[67]

<u>ტერორისტული აქტების სახეები:</u>

პრაქტიკაში ტერორისტული საქმიანობის დროს ტერორისტები ძირითადად იყენებენ შემდეგი სახის ტეროისტულ აქტებს: 1)პოლიტიკური მკვლელობები; 2) აფეთქებები, ცეცხლის წაკიდება და მათი ორგანიზება; 3) სანტრასპორტო (საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო) საშუალებების ხელში ჩაგდება; 4) ადამიანის გატაცება; 5) მზვლად აყვანა და 6) ცრუ განგაში.

პოლიტიკური მკვლელობები: - ტერორისტული აქტის ეს სახე ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში ჩამოყალიბდა, როდესაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი მიზნის მისაღწევად ტერორს მიმართავდა. შემდგომში იგი უფრო დაიხვეწა და თანამედროვე ხასიათი მიიღო. პოლიტიკურ მკვლელობას ახორციელებდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ძალები მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური მეტოდებსა და ხერხების გამოყენებით ვერ აღწევდნენ დასახულ მიზანს.

აფეთქება, ცეცხლის წაკიდება და მათი ორგანიზება - ესენი ტერორისტული აქტების განხორციელების ყველაზე გავრცელებული ხერხებია ვინაიდან:

- იგი უზრუნველყოფს შემსრულებლის უსაფრთხოებას, საშუალებას აძლევს მას, შემთხვევის ადგილიდან მოშორებით იმყოფებოდეს ან საერთოდ მიიმალოს;
- ტერორისტი იყენებს საშუალებას, რომელსაც დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნია;
- ასაფთქებელი მოწყობილობა ერთნაირად საშიშია ნებისმიერი ობიექტისთვის და მისი გამოყენების თაობაზე უბრალო მუქარაც კი სერიოზული ზარალისა და მატერიალური დანაკარგების მიყენება შეუძლია;

[67] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009. გვ.74-75

- ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებისათვის საჭირო მასალის მოპოვება არ წარმოადგენს სირთულეს, თანაც იგი იაფია.

ასაფეთქებელ მოწყობილობებთან მუშაობისას ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო და მაქსიმალური ყურადღება. სწორედ ამისთვის არსებობს სპეციალური დანაყოფი, რომელიც ასეთი მოწყობილობების განაღმაზე მუშაობს.[68]

გაეროს სპეციალურმა კომიტეტმა 1979 წელს გამოსცა ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების ფორმულირება და ესენია: რასიზმი, აგრესიული პოლიტიკა, ნეოკოლონიალიზმი, უცხო ტერიტორიის ოკუპაცია და მათი შედეგები: არათანასწორობა, დაკნინება, უსამართლობა და ექსპლუატაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერორიზმის წარმოქნას სხვადასხვა პირობები უყობს ხელს. მისი გამოწვევი მიზეზები დაკავშირებულია როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის არასწორ წარმასთვასთან, მისი წარმოშობაც და განვითარებაც შესაძლებელია, რომ მოხდეს როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოში, ასევე დიქტატორულშიც.

[68] ა.ჭიღიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009. გვ.76-69

თავი III . თანამედროვე ტერორიზმის ტენდეციები და მის პრევენციასთან დაკავშირებული პრობლემები

3.1 ტერორიზმის ტენდენციების მიმოხილვა

შედარებით რბილად რომ ვთქვათ, 2020 წელი უჩვეულო გამოდგა. მსოფლიოს მასშტაბით ყველა სახელმწიფოს მოუწია სრულიად ახალ გამოწვევაზე რეაგირება (COVID-19) და ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ეფექტიანობის ან წარმატების გაზომვის რეალური კრიტერიუმი არ არსებობდა. შესაბამისად, ვხედავდით თითოეული გადაწყვეტილება როგორ აღმოჩნდებოდა ხოლმე არასწორი.

ყველაზე მოწინავე დემოკრატიული სახელმწიფოები დღეს დანის პირზე გადიან, არჩევანის გაკეთება უწევთ სოციალურეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებასა და ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას შორის. მაგრამ, ეს არჩევანიც, რეალურად, ჩაკეტილი წრეა. განსაკუთრებული დარტყმა დემოკრატიულ სახელმწიფოებზე მოდის, რადგან სწორედ აქ დგას ყველაზე მწვავედ საკითხი: უფლებები და თავისუფლებები თუ კონტროლი?

ამავე პირობებში არსებობა უწევთ მსოლფიოს მასშტაბით არსებულ ტერორისტულ და ექსტრემისტულ ორგანიზაციებს, რომლებსაც საკუთარი დღის წესრიგი აქვთ გასატარებელი და ინტერესები - დასაკმაყოფილებელი. ამ მიზნებისთვის ისინი ყველა დაბრკოლებასა თუ გამოწვევასთან ეცდებიან ადაპტაციას. ამ თვალსაზრისით, კოვიდ19 და ყოველივე რაც მას მოჰყვა, არაფერია ამ ორგანიზაციებისა და მათი იდეოლოგიებისთვის თუ არა დამატებითი გარემო-პირობა, რომელსაც ბრძოლის მეთოდები უნდა მოარგონ. ისტორიულად ყველა მტკიცებულება მიგვითითებს, რომ ამ ტიპის ორგანიზაციები კარგად და ზოგჯერ სახელმწიფოებზე უკეთესად, ერგებიან ახალ გამოწვევებს.[69]

2019-2020 წლის ანგარიშში ევროპოლმა ტერორისტული აქტივობების შემდეგი კატეგორიზაცია გამოიყენა: ჯიჰადისტური, ეთნონაციონალისტური და სეპარატისტული, მემარცხენე და ანარქისტული, მემარჯვენე, თემატური (single issue terrorism). ტერორიზმთან დაკავშირებულ დისკურსშიც ეს ორი მიმართულება დომინირებს და მთავარ ანტაგონისტურ ძალებადაც ისინი მიიჩნევა.

ევროპოლის ანგარიშში ჯიჰადიზმი განმარტებულია, როგორც სალაფიტური ისლამის ძალადობრივი სუბკატეგორია, რომელიც უარყოფს დემოკრატიასა და მისთვის მახასიათებელ

[69] https://www.gcsd.org.ge- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

არჩევით სახელისუფლებო ორგანოებს, ცდილობს დაამტკიცოს ღმერთის, როგორც ერთადერთი კანონშემოქმედის როლი. ჯიჰადიზმი მიზნად ისახავს შექმნას ისლამური სახელმწიფო, რომელიც ცალმხრივად იმართება ისლამური კანონმდებლობის (ისლამური შარიათის) კონკრეტული ორგანიზაციის ინტერპრეტაციით. წინამდებარე დოკუმენტი გამოიყენებს ტერმინებს ჯიჰადისტური და ისლამისტური.

ცნება, მემარჯვენე ტერორიზმი, გულისმობს მემარჯვენე ექსტრემისტების მიერ ჩადენილ ძალადობას. მემარჯვენე ექსტრემიზმის ვარიაციებს წარმოადგენს ნეონაცისტური, ნეო-ფაშისტური და ულტრა-ნაციონალისტური წარმონაქმნები. მემარჯვენე ტერორიზმი ცდილობს გადაიყვანოს მთლიანი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა მემარჯვენე ექსტრემისტულ მოდელზე. მემარჯვენე ექსტრემიზმში ფუნდამენტურ კონცეფციას წარმოადგენს სუპრემაციზმი (იდეა, რომლის მიხედვითაც საერთო მახასიათებლის ქვეშ გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები არიან სხვა დანარჩენ ადამიანებზე უპირატესნი). რიგი დაჯგუფებები, საკუთარი თავის უპირატეს მდგომარეობაში აღქმის საფუძველზე, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილზე დომინირებას ბუნებრივ უფლებად მოიაზრებენ. ამასთანავე, მემარჯვენე ექსტრემისტული იდეოლოგიები საზრდოობენ სხვადასხვა მოძულე სუბკულტურებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, იბრძვიან საზოგადოების მრავალფეროვნების წინააღმდეგ.

2020 წლის მანძილზე დაფიქსირდა ფართომასშტაბიანი ტერორისტული თავდასხმები დიდი მსხვერპლით (ბოკო ჰარამი, ჰუსიტები), მარტოხელა თავდამსხმელების მიერ მასობრივი სროლა და თავდასხმები ცივი იარაღით. შენარჩუნებული იყო სუიციდური და ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით ორგანიზებული თავდასხმებიც.

ამ წელს, გასული წლებისგან განსხვავებით, მთლიანად ტერორისტული აქტივობის ანალიზი კორონავირუსის გავრცელების ჭრილში ხდებოდა. მთავარი კითხვები ეხებოდა ტერორიზმის და პანდემიის ურთიერთკავშირს და ამ უკანასკნელის გავლენას კონტრტერორისტულ ძალისხმევებზე.[70]

ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის გავლენა ტერორიზმზე არაერთგვაროვანი იყო. ერთი მხრივ, არსებულმა ვითარებამ ტერორისტულ ორგანიზაციებს შეუქმნა ისეთი შესაძლებლობები როგორიცაა ინტერნეტს მიჯაჭვული გლობალური აუდიტორია და ახალი კონსპირაციული თეორიები, რომლებიც ადვილად ჩაჯდა ექსტრემისტულ ნარატივებში. ამასთანავე, ზოგ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო კონტროლი სხვადასხვა მიზეზის გამო სუსტია, ტერორისტულ ორგანიზაციებს საშუალება მიეცა თავი წარმოეჩინათ, როგორც დახმარებისა თუ

[70] https://www.gcsd.org.ge- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

სერვისების ალტერნატიული მიმწოდებელი. ასე მოიქცა, მაგალითად, თალიბანი ავღანეთში. თუმცა, ამავდროულად, ვირუსით გამოწვეულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად შეამცირა საზოგადო თავშეყრის ადგილების რაოდენობა, რამაც ტერორისტული ორგანიზაციების გარკვეულ ტაქტიკებს პრაქტიკულობის თვალსაზრისით მნიშვნელობა მოაკლო. ამავე მიზნით, ზოგიერთ ორგანიზაციას შეუმცირდა წვდომა სხვადასხვა ტიპის რესურსზე. რაც მთავარია, კორონავირუსმა სრული მონოპოლია მოიპოვა მედიის ყურადღებაზე, რამაც ტერორისტული ორგანიზაციები და მათი ქმედებები დღის წესრიგში უკან დახია.

ზოგადად, ტერორისტული ორგანიზაციები კარგად იყენებენ კრიზისულ სიტუაციებს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საშუალება ეძლევათ საინფორმაციო სივრცე საკუთარი პროპაგანდით შეავსონ. კორონავირუსის გამოყენებას საკუთარი პროპაგანდისთვის იდეოლოგიური სპექტრის ყველა მხარეს არსებული ორგანიზაციები ცდილობდნენ. აღნიშნული ბუნებრივიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ტერორისტული ორგანიზაციებისთვის აუცილებელია იყვნენ აქტუალური. ეს კი ნიშნავს, რომ ნარატივებიც და ტაქტიკაც ახალ გამოწვევებს უნდა მოერგოს. შესაბამისად, კორონავირუსი ყველანაირი ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციის განახლებულ ნარატივში მოხვდა.[71]

ვირუსის თემის ინსტრუმენტალიზაცია ორი ძირითადი მიმართულებით ხდებოდა. ერთი მხრივ, ხშირი იყო მასთან დაკავშირებული კონსპირაციული თეორიებით მოწინააღმდეგეების დემონიზაცია. მეორე მხრივ, დაფიქსირდა ვირუსის ბიოლოგიურ იარაღად გამოყენების მოწოდებებიც (ძირითადად ულტრა მემარჯვენე მიმართულების ექსტრემისტების მხრიდან). სხვადასხვა იდეოლოგიური მიკუთნების ორგანიზაციების მიერ კორონავირუსის თემის გამოყენება კარგად აიხსნება ჯეი ემ ბერგერის სოციალური იდენტობის კონსტრუირების თეორიით. ბერგერის ხედვით, ექსტრემისტული ორგანიზაციები საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებას კრიზისისა და გადაწყვეტილების ფორმულით ახდენენ. პირველ რიგში, ხდება ძირითადი/შიდა ჯგუფის (in-group) და მისი მოწინააღმდეგე გარე ჯგუფის (out-group) იდენტიფიცირება. შემდეგ ხდება გარე ჯგუფის ბრალეულობით ძირითადი ჯგუფის წინაშე არსებული კრიზისის აღწერა. ბოლოს ამ კრიზისის მოგვარების ერთადერთ გზად ისევ ძირითადი/შიდა ჯგუფი იხატება. თუმცა, რადგან ეს ჯგუფი კრიზისულ მდგომარეობაშია მისი გადარჩენისთვის საჭირო, ხდება ძალადობრივი, რადიკალური და სუპრემაცისტული

[71] https://www.gcsd.org.ge- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

ქმედებები. შესაბამისად, ვირუსის თემის ინსტრუმენტალიზაციაც როგორც ჯიჰადისტურმა ისე მემარჯვენე ორგანიზაციებმა ამ ფორმულაზე დაყრდნობით მოახერხეს.[72]

ულტრა მემარჯვენე ექსტრემიზმი

2019 წლის მიუნხენის კონფერენციაზე ულტრა მემარჯვენე ექსტრემიზმი უსაფრთხოების ყველაზე მწვავე გამოწვევების სამეულში დასახელდა. გაეროს კონტრტერორისტული კომიტეტის მონაცემებით 2015-2020 წლებში ულტრა მემარჯვენე ექსტრემიზმი 320% გაიზარდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი, თეთრკანიანთა სუპრემაციზმის მოძრაობის (რომელიც ულტრა მემარჯვენე ექსტრემიზმის შემადგენელი კომპონენტია) აქტივობამ 2020 წელს დაგეგმილი და განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების 67% შეადგინა. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტმა ამ ფენომენს ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე მომაკვდინებელი საფრთხე უწოდა.

ტერმინი „ულტრა მემარჯვენე“ სულ უფრო ხშირად გამოიყენება პოლიტიკურ იდეოლოგიათა სპექტრის მემარჯვენე ფლანგზე არსებული იმ ორგანიზაციების და ინდივიდების აღწერისას, რომლებიც ძალადობრივ იდეებს და შესაბამის ქმედებებს ქადაგებენ. ეს მიმართულება ემყარება ეთნიკური, კულტურული და ეროვნული სუპრემაციზმის ცნებას. მისი უკიდურესი გამოხატულებაა ეთნოსახელმწიფოს რევოლუციური შექმნა ე.წ. „აქსელერაციონალური ტერორიზმის“ გამოყენებით. ეს უკანასკნელი არის თეორია, რომ რასობრივად სუფთა მსოფლიოს შექმნა მოითხოვს მართულ ქაოსს და რასობრივი ომის წარმოებას.[73]

ულტრა მემარჯვენე ექსტრემიზმი (და მასში შემავალი ქვე-კომპონენტები) ტრადიციულად ნაკლებად სტრუქტურირებული და ორგანიზებულია, განსაკუთრებით ისლამისტურ/ჯიჰადისტურ ექსტრემიზმთან შედარებით. მთელი ეს მიმდინარეობა ამერიკელი, თეთრკანიანთა სუპრემაციზმის თეორეტიკოსის, ლუი ბიმის „ულიდერო წინააღმდეგობის“კონცეფციაზეა აწყობილი. ის საკმაოდ დეცენტრალიზებულია და მოიცავს სხვადასხვა ქვე-იდეოლოგიათა მიმდევრებს. ამ პირებს თუ ორგანიზაციებს ნაკლებად სტრუქტურირებული გაერთიანებები და ონლაინ ქსელები აქვთ. ამ იდეოლოგიური ქოლგის ქვეშ განხორციელებული ძალადობა ძირითადად ერთიანი დაგეგმვის და მართვის გარეშე ხდება. ძირითადი სტრატეგიაა მეინსტრიმული მემარჯვენე იდეებით დაინტერესებულ პირთა გადაბირება უფრო რადიკალური არხებისკენ და შემდგომ ძალადობრივი ქმედების

[72] Berger, John M. Extremism. MIT Press, 2018.

[73] https://www.gcsd.org.ge- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

განხორციელების ინსპირაცია. მაგალითისთვის, მხოლოდ 2020 წლის მარტში თეთრკანიანთა სუპრემაციზმის თემასთან ასოცირებული ტელეგრამის არხები 6000 გამომწერით გაიზარდა. სოციალური მედიის სხვა პლატფორმებთან შედარებით ტელეგრამი უფრო ექსკლუზიურია, თუმცა სწორედ ზემოხსენებული სტრატეგიის გამო ამ ტიპის გაერთიანებები მიზნად არ ისახავენ ფართო მასებზე წვდომას. მათი მიზანია უფრო „ინტიმურ" სივრცეში გამომწერების დარწმუნება მიმართონ ძალადობას.[74]

ექსტრემიზმის მკვლევარებისთვის წლის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ამოუხსნელი მოვლენა ბუგალუ არის. ამ ფენომენის ახსნა საკმაოდ რთულია. ტერმინი სოციალური მედიის პლატფორმა 4chan-იდან მოდის და 80-იანი წლების მხატვრული ფილმის სახელზეა დაფუძნებული. ასევე, რთულია იმ პროცესის გადმოცემა, რომლის შედეგადაც ბრეიქ დანსზე გადაღებული კომედიური ჟანრის ფილმის დასახელება ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტისახელისუფლებო ჰიბრიდული მოძრაობის ქოლგა-ტერმინად იქცა. ამ ყველაფრის მიზანი მსოფლიოში არსებული წესწყობილების დამხობაა. მოძრაობა ბუგალუ XXI საუკუნის პროდუქტია და მისი იარაღი ინტერნეტ მიმებია. დღეისათვის ბუგალუ აქსელერაციონიზმის ჩარჩოში ჯდება და გარდაუვალ სამოქალაქო ომს ქადაგებს. ბუგალუ არც ღონისძიებაა და არც ორგანიზაცია, ის მოძრაობაა, თანაც, საკმაოდ პარადოქსული. მასში შედიან თეთრი სუპრემაცისტებიც და ანტირასისტებიც, უკიდურესად ლიბერტარიანულად განწყობილი ინდივიდებიც, ნეო ნაცისტებიც და კლიმატის ცვლილების აქტივისტებიც. ერთი რაც მათ აერთიანებთ ე.წ. პოლიტიკური ესტაბლიშმენტის წინააღმდეგობა და სახელმწიფო ავტორიტეტების დამხობის სურვილია.

რადგან ბუგალუ ძირითადად ინტერნეტ სივრცეში არსებობს და მისი შემადგენლობა დამაბნევლად მრავალფეროვანია, მის ფარგლებში გამოყენებული მიმებიც სხვადასხვა გზავნილებს ატარებს. ზოგი კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ აპოკალიფსს ქადაგებს, ზოგი ამერიკაში იარაღის ტარების უფლების პრობლემურობას ეხმაურება, ზოგი პედოფილების დახვრეტას ითხოვს... თუმცა, ძირითადი თემა და მოწოდება ყველა ამ პრობლემის საპირწონედ „რამის გაკეთება", ქმედება და ხშირად, ძალადობრივი ქმედებისკენ მოწოდებაა. ბუგალუს მიმდევრები საკუთარ თავს ბუგალუერებად, „Boogaloo Bois" და ბუჯაჰედინებად მოიხსენიებენ. თავად „ბუგალუ" კი ხან ბიგ იგლუ ხდება და ხან ბიგ ლუაუ. ამ თემატიკის გვერდებზე ხშირია სამართალდამცავების წინააღმდეგ ძალადობის მოწოდებები. გავრცელებული ცნობით 2020

[74] https://www.gcsd.org.ge- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

წლის ივნისში Facebook-მა ბუგალუსთან დაკავშირებული ასობით გვერდი წაშალა, თუმცა ივლისში ამ თემის გვერდები ისევ მომრავლდა.

ბუგალუზე, ძირითადად, კონსპირაციის თეორიების ჭრილში საუბრობენ. ეს უკანასკნელი კი ძალიან ხშირად გამოიყენებოდა ყველა ტიპის ექსტრემისტული ორგანიზაციის მიერ. ნორვეგიის ჰოლოკოსტისა და უმცირესობების შესწავლის ცენტრის უფროსი მკვლევარის, ტერჟე ემბერლანდის მოსაზრებით კონსპირაციული თეორიები „რადიკალიზაციის გამამარავლებლებია“ (radicalisation multipliers) და ისინი განსაკუთრებით ულტრა მემარჯვენე იდეებით რადიკალიზაციას უწყობენ ხელს. მისი თქმით, კონსპირაციულ თეორიებსა და ექსტრემისტულ იდეოლოგიებს შორის ბმა სამი ფაქტორით არის განპირობებული. ესენია - აზროვნების ხისტი და მოუქნელი მეთოდები, აპოკალიპტური განწყობები და სამყაროს დუალისტური აღქმა (მტრებად და მეგობრებად დაყოფა). მისი თქმით, კონსპირაციული თეორიები ხელს უწყობენ ჯგუფთა შორის პოლარიზაციას ჰიპოთეტური „სხვის“ და „განსხვავებულის“ დემონიზაციის გზით. ისინი ხელს უწყობენ ინდივიდების და ჯგუფების საზოგადოებასთან გაუცხოებას, გამიჯნვას და ზრდიან ძალადობრივი ქმედებების ალბათობას. ეს ყოველივე მარტივად ჯდება ბერგერის ზემოთ განხილულ თეორიაში შიდა/ძირითადი ჯგუფის გარე ჯგუფის საპირწონედ კონსტრუირების და მისგან დაცვის შესახებ.[75]

მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციების ნარატივში ხშირად ფიგურირებდა კორონავირუსთან დაკავშირებული ისეთი კონსპირაციული თეორიები, როგორიცაა უმცირესობების მიერ ვირუსის მიზანდასახული გავრცელება, ბილ გეითსისა და ჯორჯ სოროსის სახელების დაკავშირება ვირუსის წარმოშობისა და ვაქცინის მავნე გვერდით ეფექტებთან, 5G და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ფართომასშტაბიანი ძალადობა არ განხორციელებულა, რაც საბოლოოდ შესაძლოა სწორედ მიმართულების ნაკლები ცენტრალიზაციით აიხსნას, იყო სხვადასხვა უმცირესობებზე მიმართული ძალადობის ორგანიზებული შემთხვევები. გერმანიაში, ქალაქ ჰანაუში 43 წლის ტობიას რათიენმა ეთნიკური უმცირესობების სიძულვილის მოტივით 9 ადამიანი და საკუთარი დედა მოკლა, რის შემდეგაც თავი მოიკლა. ბუგალუს მიმდევრების თავდასხმამ ოკლენდსა და სანტა კრუზში თითო ადამიანი იმსხვერპლა. ოპერაცია ბუგალუ უნდა რქმეოდა კოვიდ-19ით ინფიცირებულებით სავსე საავადმყოფოზე თეთრკანიანთა სუპრემაცისტული იდეოლოგიის მხარდამჭერი, 36 წლის

[75] https://www.gcsd.org.ge- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

ტიმოთი უილსონის თავდასხმას, თუმცა ის შეტევამდე ფედერალური გამოძიების ბიუროს აგენტებმა მოკლეს 2020 წლის მარტში.[76]

ისლამისტური/ჯიჰადისტური ექსტრემიზმი

2020 წელსაც მნიშვნელობა არ დაუკარგავთ მსოფლიო ტერორიზმის ისეთ „ჩვეულ ეჭვმიტანილებს“ როგორებიც არიან: დაეში, თალიბანი და ალ კაიდა. ჯიჰადისტური/ისლამისტური ექსტრემიზმიც, გარკვეულწილად, სუპრემაციზმს გულისხმობს, ოღონდ მუსლიმური იდენტობის. ისლამიზმის იდეოლოგიურ პლატფორმაზე მოქმედი ორგანიზაციები, მოწყობის თვალსაზრისით, ისლამური სახელმწიფოს დაფუძნებისკენ მიილტვიან.

სხვადასხვა წყაროების მონაცემების წინასწარი შჯამებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2020 წელს ყველაზე აქტიური ტერორისტული ორგანიზაცია დაეში იყო, ყველაზე მომაკვდინებელი კი ბოკო ჰარამი, რომელმაც ერთი თავდასხმით 110 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. [77] ტერორისტული თავდასხმების თვალსაზრისით ყველაზე ცხელი წერტილები იყო ავღანეთი, ნიგერია და პაკისტანი.

ჯიჰადისტურ ორგანიზაციებსაც მოუწიათ საკუთარი აქტივობების კორონავირუსზე მორგება და ამ უკანასკნელის საკუთარ ნარატუვებში ჩაქსოვა. ეს ორგანიზაციებიც მრავლად მიმართავდნენ კონსპირაციულ თეორიებს და ხშირად, მათი გამოყენებით, ცდილობდნენ მოწინააღმდეგეებზე საკუთარი მორალური, თუ ოპერაციული უპირატესობის ხაზგასმას. მაგალითად, ალ კაიდა დასავლურ ხელისუფლებებს ბრალს სდებდა საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის უგულებელყოფაში. ჰაიათ თაჰრირ აშ-შამი დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კოლაფსს ქადაგებდა, ალ შაბაბი კი ვირუსის გავრცელებას ჯვაროსნებს აბრალებდა. იემენში ჰუსიტები ირწმუნებოდნენ, რომ საუდის არაბეთი ქვეყანაში ინფიცირებულ პირბადეებს ყრის.

საწყის ეტაპზე დაეში ვირუსს ურწმუნოების წინააღმდეგ ღვთიურ შურისძიებას უწოდებდა. ამავდროულად, მხარდამჭერებს მოუწოდა გამოეყენებინათ მოწინააღმდეგე ხელისუფლებების სისუსტე პანდემიის პირობებში და გაეაქტიურებინათ დავდასხმები. დაეშის პროპაგანდის ცნობილი ანალიტიკოსი ლაით ალ ხური ვარაუდობდა, რომ მოსალოდნელი იყო ორგანიზაციის გააქტიურება ისეთ წერტილებში, სადაც უსაფრთხოების ნაკლები რეგულაცია

[76] https://www.gcsd.org.ge- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21
[77] https://on.wsj.com/3yAziU4- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

და/ან სუსტი სამთავრობო კონტროლი იყო. ორგანიზაციამ ისიც განაცხადა, რომ კოვიდ-19-ით გარდაცვლილი მებრძოლები მოწამის სტატუსს მიიღებდნენ.[78]

ამ მიმართულებით, არსებობდა მცდარი მოსაზრება, რომ დაეში მომხრეებს დასავლეთში თავდასხმებისგან თავის შეკავებას ურჩევდა. რეალურად, შეცდომა ორგანიზაციის გზავნილების არასწორ აღქმას უკავშირდებოდა. აქ საყურადღებოა დაეშის ჟურნალ ალ ნაბას 220-ე, 223-ე და 224-ე პუბლიკაციები. 220-ე გამოცემაში დაეში მართლაც აძლევს მებრძოლებს დირექტივას თავი აარიდონ ევროპაში შესვლას. თუმცა, საუბარი უფრო იყო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. შემდგომ გამოცემებში ორგანიზაცია ცალსახად მოუწოდებს მხარდამჭერებს განახორციელონ უმოწყალო თავდასხმები დასუსტებულ ევროპულ სახელმწიფოებზე.[79]

ზოგმა ორგანიზაციამ ჯანდაცვის კრიზისი PR-ისა და სტრატეგიული კომუნიკაციის ერთგვარ მასტერკლასად აქცია. მაგალითად ჰეზბოლას ლიდერმა ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ ორგანიზაციასთან აფილირებული 24 000 მედ პერსონალი და საავადმყოფოები ვირუსთან ბრძოლის ეროვნულ ძალისხმევას შეუერთდებოდნენ. თალიბანმა ჯერ ავღანეთის ხელისუფლებას მოუწოდა საპატიმროში მყოფი მებრძოლები გაეთავისუფლებინა ინფიცირების თავიდან ასაცილებლად. შემდეგ, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს საკუთარ ტერიტორიებზე წვდომა მისცა. თალიბანმა, ასევე, ხელისუფლებას ცეცხლის შეწყვეტა შესთავაზა და საინფორმაციო პამფლეტები დაარიგა, რომლებშიც მოსახლეობას ვირუსისგან თავის დაცვის რეგულაციებს აცნობდა. აღნიშნული, ცალსახად, შეიძლება შეფასდეს დოჰაში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად საკუთარი თავის ლეგიტიმურ და ავღანეთის მთავრობასთან შედარებით, უპირატეს მოთამაშედ წარმოჩენის მცდელობად. ალბათ უპრეცედენტო იყო თალიბანის 19 მარტის განცხადება, რომელშიც ის შიიტურ ირანს უსამძიმრებდა კორონავირუსით განცდილი დანაკარგების გამო.

პარალელურად დოჰაში ცვალებადი წარმატებით გრძელდებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებები თალიბანსა და ავღანეთის ხელისუფლებას შორის. როგორც ცნობილია, თალიბანი არ სცნობს ავღანეთის ხელისუფლების ლეგიტიმურობას და ამიტომ 2020 წლამდე მასთან პირისპირ მოლაპარაკებებს არ თანხმდებოდა. პირველი წარმატება მიღწეულ იქნა თებერვალში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები და თალიბანი ქვეყნიდან ამერიკული ჯარის გაყვანაზე შეთანხმდენენ. თუმცა, შეთანხმებას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, რადგან ბევრი სპეციალისტი თალიბანს არასანდო მხარედ მიიჩნევს. ნოემბერში თალიბანმა

[78] https://www.gcsd.org.ge- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[79]https://www.ict.org.il/Article/2526/The_Corona_Pandemic_ISIS#gsc.tab=0- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

ამერიკის ახლადარჩეულ პრეზიდენტ ბაიდენს მოუწოდა არ შეეწყვიტა მოლაპარაკების პროცესი. ხოლო, 2 დეკემბერს პოზიტიური გარღვევა მოხდა ორგანიზაციის ავღანეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაში. მხარეებმა გარკვეულ პროცედურულ შეთანხმებებს მიაღწიეს, რომლებიც მათი განცხადებით მომავალში მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს. სამწუხაროდ მოლაპარაკებების პარალელურად გრძელდებოდა ორგანიზაციის თავდასხმები.[80]

განსაკუთრებით სისხლისმღვრელი იყო 18 იანვარს ჰუსიტების თავდასხმა საუდის არაბეთის შეიარაღებული ძალების ბაზაზე [81] და 28 ნოემბერს ბოკო ჰარამის მიერ განხორციელევბული მასობრივი მკვლელობა. თვალსაჩინო იყო 2 ნოემბერს რადიკალი ისლამისტი კუტჯიმ ფეიზულას მიერ განხორციელებული თავდასხვა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში.[82]

3.2. ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებული ასპექტები

ტერორიზმს მრავალფეროვანი გამოვლინება ახასიათებს. ის სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროსა და ფარგლებში განსხვავებული ფორმით გვევლინება. სოწრედ მისი უკეთესი გაგების და შესწავლის მიზნით უნდა მოვახდინოთ მისი კლასიფიაკაცია ტიპების მიხედვით.

<u>ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია</u>

კლასიფიკაციას საფუძვლად ყოველთვის უდევს გარკვეული ნიშანი ან ნიშანთა ჯგუფი. არსებობს ტერორიზმის მრავალგავრი კლასიფიკაცია. მაგალითად, მონკოვსკი და რევინი, კლასიფიკაციის საფუძვლად იღებენ საერთსორისო სამართლებრივ დოკუმენტებს და გამოყოფენ ტერორიზმის შემდეგ სახეებს: სახელმწიფო ტერორიზმი, საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი სისტემური, სხვა სახის შიდასახელმწიფოებრივი, რელიგიური და წერტილოვანი. აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ, ისეთი ფორმები, როგორიცაა ტერორიზმი, გამოხატული ამბოხებაში, მასობრივი არეულობები, დივერსიები და მძევლად ხელში ჩაგდება.[83]

ს. ეფიროვი ტერორიზმის სახეების კლასიფიკაციისას გამოოფს სახელმწიფო, ულტრამემატჯვენე ანუ ნეოფაშისტურ, ულტრამემარცხენე და სეპარატისტულ ტერორიზმს.[84]

---

[80] https://www.gcsd.org.ge- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21
[81] https://reut.rs/3fANCTY- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21
[82] https://civil.ge/ka/archives/380173- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21
[83] Г..М. Миньковский, В. П. Ревин Характеристика терроризма и некоторые направления повышения эффективности борьбы с ним. Государство и право. 1997. № 8, ст.85
[84] С.А.Эфиров Покушение на будущее. М., 1984. ст.35-39.

ბ.ჩურკოვი ტერორიზმის კლასიფიკაციას შემდეგ სახეებად ახდენს: სოციალურ-პოლიტიკურ ტერორიზმი, რომელიც იყოფა მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობად, ეთნოპოლიტიკური ტერორიზმი, რელიგიური ტერორიზმი, სეპარატისტული ტერორიზმი, რომელიც შეიძლება ატარებდეს ნაციონალურ ან რელიგიურ ხასიათს, ან ნაციონალურ რელიგიურს ერთდორულად.[85]

ბოიარ სოზანოვიჩი ტერორიზმის კლასიფიკაციის საფუძვლად ტერორიზმის განმახორციელებ სუბიექტს მიიჩნევს და გამოყოფს სამ ძირითად სახეს: 1) სახელმწიფოებრივი ტერორიზმი, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ან მისი ხელშეწყობით; 2) ჯგუფური ტერორიზმი, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის გარეშე. აღნიშნულ ჯგუფში იგი მოიაზრებს მემარჯვენე, მემარცხენე, რელიგიური, ეთნო-ნაციონალური მიმართულებების ჯგუფებს; და 3) სტიქიური (ინდივიდუალური) ტერორიზმი, რომელიც ხორციელდება ცალკეული პირების მიერ.[86]

ნაზარკინი ტერორიზმის კლასიფიკაციას სამ ჯგუფად ახდენს: 1) იდეური ტერორიზმი - რომელშიც იგი მოიაზრებს იდეოლოგიური პლატფორმის ქვეშ მოქმედ ყველა ტერორისტულ გამოვლინებას; 2) მარტოხელების ტერორიზმს - მოიაზრება ინდივიდუალური ტერორისტული აქტები და 3) კრიმინალური ტერორიზმი - სადაც მოაზრებს ანგარებით მოტივაციის მქონე ჩვეულებრივ დანაშულებრივი დაჯგუფებებს, რომლებიც იყენებენ ძალისმიერ მეთოდებს კრიმინალურ საქმიანობაში, გავლენის სფეროების გადანაწილებისას და ა.შ.[87]

ჩამოთვლილი კლასიფიკაციების გარდა, იურიდიულ დოქტრინაში სხვა სახეების დომინირებენ როგორებიცაა: კიბერტერორიზმი, საერთაშორისო, ინფორმაციული, შიდასახელმწიფოებრივი, ბირთვული, ტექნოლოგიური ტერორიზმი და ა.შ

ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია შესაძლებელია ძირითადი ნიშნის - მოტივისა და მიზნის და არაძირითადი - გამოყენებული ხერხის და საშუალების სამოქედო ფარგლებს, განმახორციელებელი სუბიექტის მიხედვით.

სამოქმედო მოტივაცია წარმოადგენს ტერორისტული აქტივობის ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტს. იმის მიხედვით, თუ რა არის ტერორისტების სამოქმედო მოტივი და

---

[85] Б. Г. Чурков, Социально-философские аспекты современного терроризма. Авторефератдиссертации на соискание ученой степени кандидата философских наук. М.,Мпгу, 1993, ст.12

[86] Т.С. Бояр-Созонович Проблемы классификации современного терроризма. Университет дружбынародов имени Патриса Лумумбы Государственного комитета СССР по народному образованию. М.,1989, ст.11

[87] В. Назаркин, Криминологическая характеристика и предупреждение терроризма, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук. М., 1998, ст.41-60.

სავარაუდო სასურველი შედეგი, ტერორისტული აქტივობის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს რელიგიურ, სეპარატისტულ, ეთნიკურ, მემარჯვენე, მემარცხენე და სხვა მოძრაობებად.

იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტულ საშუალებას და ხერხს შეარჩევს ტერორისტული აქტივობისთვის სუბიექტი, შეიძლება გამოიყოს ბირთვული, ქიმიური, ფეთქებადი, კომპიუტერული და სხვა სახის ტერორიზმი.[88]

ტერორისტული მოქმედების ფარგლების მიხედვით, შესაძლებელია არსებობდეს საერთაშორისო და შიდასახემწიფოებრივი ტერორიზმი. საერთაშორისო ტერორიზმი აშშ-ის სახელმწოფო დეპარტამენტი განსაზღვრავს შემდეგნაირად: საერთაშორისო ტერორიზმი ნიშნავს ტერორიზმს, რომელშიც ჩართულია ერთზე მეტი ქვეყნის კუთვნილი ტერიტორია ან მოქალაქე. [89] საერთაშორისო ტერორიზმს ბრაიენ ჯენკინსი განსაზღვრავს როგორ ინციდენტებს, რომელთა დროსაც მიზნისთვის დარტყმის მისაყენებლად ტერორისტები გადალახავენ უცხო სახელმწიფოს საზღვრებს, შეარჩევენ მათ მსხვერპლს თუ სამიზნეს უცხოეთის რომელიმე სახელწიფოსთან კავშირის გამო, თავს ესხმიან საერთაშორისო ავიახაზებზე მფრინავ საჰაერო ხომალდებს, ძალადობით ხელში იგდებენ ამ ხომალდებს და აიძულებენ გადაადგილებას მათთვის სასურველი მიმართულებით. საერთაშორისო ტერორიზმში არ შედის ინციდენტები, რომლებიც განხორციელებულია ტერორისტების მიერ საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში.[90] ჯენკინსს ეკუთვნის ასეთი განსაზღვრება: საერთაშორისო ტერორიზმი არის ძალადობა სახელმწიფოს წინააღმდეგ, სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.[91]

საერთაშორისო ტერორიზმად შეიძლება მივიჩნიოთ ტეორისტული სახე, როემლიც სხცილდება სახელმწიფოს ფარგლებს, დაიწყო, გაგრძელდა ან დამთავრდა სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე ან მასში მონაწილე პირები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებია ან მუდმივად მაცხოვრებლები არიან ანდა ხორციელდება ტრასნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციის მიერ. ხოლო, შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი მაშინ გვაქვს სახეზე როცა ტერორისტული აქტივობა არ სცილდება სახელმწიფოს ფარგლებს.

ტერორიზმი არ არსებობს ძირითადი ნიშნის, კონკრეტული მოტივაციისა და იდეოლოგიური პლატფორმის გარეშე.

---

[88] http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/giorgi_gorashvili.pdf- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[89] R. J. Erikson, Legitimate USE of military forse against state-sponsored international terrorism. Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama 36112-5532 , 1989, p.24.

[90] B. M. Jenkins, .The Study of Terrorism: Definitional Problems,. Rand, 6563, Rand Corp., Santa Monica, Calif., November 1980, p.40.

[91] B. Jenkins, International Terrorism: A New Mode of Conflict. Los Angeles: Crescent Publications, 1975, № 2, p.48

ტერორიზმის პრევენციათან დაკავშირებული ასპექტები

ტერმინი „პრევენცია“ ნიშნავს - წინასწარ მიღებული ზომებით რაიმეს თავიდან აცდენას, არიდებას, დასწრებას, მომხდარზე ადრე რაიმეს გაკეთებას.

ტერორიზმის პრევენცია განხილული უნდა იქნეს ორ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტში. პირველი - ტერორიზმის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურიანობის გაზრდა, რომელიც ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს პირველხარისხოვანი ამოცანაა და მეორე - ტერორიზმის პრევენცია არის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იურიდიული ხასიაზთის ზომების გაერთიანებული სისტემა, რომელიც მიმართულია: ტერორისტული ორგანიზაციების (დაჯგუფებების), ტერორისტული აქტების განხორციელების, ტერორიზმის შედეგების თავიდან აცილებაზე და მისი მიზანია მოსახლეობის საზოგადოებრივი უსაფრთხოლების უზრუნველყოფა, სახელმწიფოს საერთაშორისო, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაცვა.[92]

პირველ რიგში აუცილებელია ვისაუბროთ იმ ფაქტორებზე რომელიც აფერხებს ტერორიზმის პრევენციას. დაღესტნის პროკურორის მოადგილემ - ჰ.ალიევმა გამოყო ის თვისებურებები, რაც ტერორიზმის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაზე ახდენს გავლენას:[93]

1) ტერორისტული მიმართულების დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდება მეტწილად უკვე ჩადენილ დანაშულზე რეაგირებისას.

2) დანაშაულიებრივი ხელყოფის პრევენციის, დანაშულებრივ დაჯგუფებათა საერთაშორისო და რეგიონათშორისო კავშირების მოშლა და ამის შედეგად, ტერორისტული ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიზნით ერთობლივი სამუშაოები არ ტარდება.

3) დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არსებობს ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ყველა ადრე ჩადენილი დანაშაულისა და ამ დაჯგუფებათა წევრების შესახებ მონაცემეთა ერთობლივი და სრულფასოვანი საინფომაციო ბაზა.

4) ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულის აღრიცხვისა და რეგისტრაციის საკითხებში შიდაუწყებრივი გათიშულობაა. შედეგად ხდება სტატისსტიკური მონაცმების დამახინჯება, ირღვევა სისხლის სამართლის საქმეთა თანმიმდევრული რეგისტრაცია, რაც იწვევს საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების დუბლირებას, შეუძლებელს ხდის ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას.

---

[92] www.un.org/russian/terrorism/ga- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[93] Д.М. Алексенко Актуальность новых подходов в борьбе с терроризмом.2002. ст.45

5) ყურადღების მიღმა რჩება ტერორისტული ხასიათის დანაშულისთვის ადრე სასჯელმოხდილი პირები რომელბიც საკმაოდ ბევრი არიან. ზოგიერთი მათგანი განაგრძობს ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას, ინახავს ცეცხლსასაროლ იარაღს, იფარავს ძებნაში მყოფ ფირებს და სხვა.

6) შიანაგან საქმეთა ორგანოების ინიციატივით ტერორისტული დაჯგუფებების სავარაუდო წევრების საცხოვრებელ ადგილებში არაერთგზის ჩატარებული ჩხრეკა შედეგს არ იღებს. ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე დაფიქსირდა მოსალოდნელი საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის გაჟონვა.

ასევე პრობლემატურია ტერორიზმის თანამედროვე ტენდეციების საკითხიც. სწორედ ამ ტენდენციების გათვალისწინებითაა შესაძლებელი ტერორიზმის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ეფექტურ სისტემაზე საუბარი. პროფესორი ვ.ვ.ლუნეევი თანამედროვე ტერორიზმის ძირითად ტენდეციად ასახელებს საზოგადოებრივი საშიშროების ზრდის მიმართულებით მის ინტენსიურ ცვლას;

- **ზრდას და მატების ტემპის მიხედვით** - ბოლო სამი ათწლეულის განმალობაში მსოფლიოში მხოლოდ გახმოვანებული და მასობრივი ინფორმაციის შაშუალებებით გაშუქებული 10 ათასზე მეტი ტერორისტული აქტი განხორციელდა.
- **ორგანიზაციების დონის მიხედვით** - ბოლო ასწლეულის განმალობაში ტერორიზმმა დიდი რევოლუციური გზა განვლო მარტოხელა-ტერორისტებიდან ტერორისტული დაჯგუფებების, მსხვილი რეორგანიზაციებისა და პოლიტიკური ტერორისტული ფორმირების შექმნამდე, ალ-ქაიდას ტიპის ტრასსნაციონალური ტერორისტული გაერთიანებიების ჩამოყალიბებამდე.
- **მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის მიხედვით** - ხანჯლისა და ცეცხლსასწოლი იარაღის გამოყენებიდან ტერორისტული აქციების მსოფლიო დამფინანსებელი ცენტრების მეშვეობით შეძენილ კოლოსალური აფეთქებების გამომწვევ და მსობრივი განადგურების საშუალებების ფლობამდე.
- **ტერორისტული საქმიანობის ნაციონალური და ტრასნაციონალური მაშტაბების მიხედვით** - ტერორიზმის მაშტაბები ფართოვდება ცალკეული დანაშაულის ადგილიდან მთელ ქალაქებამდე, ქვყნებამდე და რეგიონებამდე.
- **შედეგის სიმძიმის ხარისხისა და ადამიანური მსხვრეპლის რიცხოვნების მიხედვით** - ადამიანური მსხვრეპლის ზრდის ტემპი საშუალოდ აღემატება თავად ტერორისტული

აქტების ტემპს. მსხვერპლი შეიძლება იყოს ცალკეული პირან დაწყებული ათი ათასობით უდანაშაულო ადამიანით დამთავრებული.

- **მიზნების ხასიათისა და მოცულობის მიხედვით** - დღესდღეობით, დიაპაზონი საკმაოდ ფართოა: დაწყებული ცალკეულ პირთა მკლელობით და ლეგიტიმური ხელისუფლების ჩამოგდებით, სახელმწიფოთა და მთელი ერების ფაქტოვრივი განადგურებით დამთავრებლი.
- **ტერორიზმის სოციალური ბაზის გაფართოების მიხედვით** - ტერორისტებს არამარტო ცალკეეული პოლიტიკური, ნაციონალური თუ რელიგიური ორგანიზაციები უერთდება, არამედ მთელი ერები (სირად მოტყუებული), ან მათი მნიშვნელოვანი ფენები.[94]

საქართველოში ტერორიზმის პრევენციის სისემაში განსაკუთებული ადგილი უკავია სპეციალური სუბიექტებს:

1) შსს კონტრტერორისტული ცენტრი, კონტრდაზვერვის, კონნსტიტუციური უსაფრთხოების და სპეციალურ-ოპერატიულ დეპატრამენტები ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ტერორიზმის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

2) საქართველოს მთავარი პროკურატურა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხეველობას ახორციელებს ტერორიზმის ფაქტებზე ოპერატიულ ინფორმაციის მოგროვების ხარისხზე, ანალიზისა და კანონიერებაზე

3) საქართველოს დაზვერვის სამსახური, საგარეო დაზვერვის სხვა ორგანოების მსგავსად, ახდენს პოლიტიკური მიმართულების მქონე ტერორილტული საქიანობის პრევენციას საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული დაწესებულებების, მათ თანამშრომლებისა და ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით.

4) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს მის შეიარაღებაში არსებულ მასობრი განადგურების, სარაკეტო და საუწყებო იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთხებელი ნივთიერებების ისაფრთხო შენახვას, სამხედრო ნაოსნობის, საჰაერო სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარებაში.

---

[94] В.В. Лунеев Организованная преступность и терроризм в условиях глобализации. 2002, ст.35-36

5) საქართველოს სასაზღვრო სამსახური ახორციელებს პოლიტიკური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მისი პრევენციის, გამოვლენისა და ტერორისტების მიერ რუსეთის ტერიტორიაზე, ან პირიქით, მისი ტერიტორიიდან იარაღის, ასაფეთქებლი ან სხვა სახის ნითიერებების (რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული ტერორისტული დანაშულის ჩადენის საშუალებად) უკანონოდ გადაზიდვის აღკვეთის გზით.

6) საქართველოს შიანაგან საქმეთა სამინისტრო ტერორიზმს ებრძვის ტერორისტული ხასიათის მქონე ანგარებით ჩადენილი დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის გზით. ტერორიზმში ბრალდებული პირების ძებნისა და პასუხისგებაში გადაცემის მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფოსთან ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროს მეშვეობით.[95]

<u>ტერორიზმის თავიდან აცილების სამართლებრივი თავისებურებანი</u>

ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლების კუთხით საკმაოდ საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა. მისი ნებისმიერი მუხლი შეიძლება გამოყენებული იქნას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით. ოცამდე კანონს ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავები აქტიურად იყენებენ ტერორიზმთან საბრძოლველად. ამ კანონთა ერთი ნაწილი მიღებულია და შემუშავებულია კონვენციების საფუძველზე, მეორე კი იცავს აშშ-ს ინტერესებს საზღვარგარეთ.

დანაშაულთან ბრძოლის შესახებ 1984 წელს მიღებული ყოვლისმომცველი კანონის მიხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერორისტული აქტად მიჩნეულია დანაშულებები, რომლებიც დაკავშრებულია ძალადობრივი ხასიათის ქმედებს ჩადენასთან, თუ იგი საშიშია ადამიანის სიცოცხლისათვის, არღვევს ფედერალურ სისხლის სამართლის კანონს ან თუ მასზე ვრცელდება ნებისმიერი შტატის იურისდიქცია. ეს კანონი ტერორისტულ აქტს მიაკუთვნებს ნებისმიერი ძალმომრეობითი ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას, ან მათ იძულებას განახორციელონ რაიმე ქმედება.

საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიმუშავა მთელი რიგი სპეციფიკური საპროცესო წესები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ნაციონალურ კანონმდებლობაზე.[96]

---

[95] http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164355/1/Disertacia.pdf- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

[96] http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164355/1/Disertacia.pdf- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

მაგალოთად, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილია ახალი თავი, რომელიც ეთმობა ტერორიზმის შესახებ საქმის წარმოების თავისებურებას, კერძოდ ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლის მიზნით შეცვლილია დაკავების ვადები, განსჯადობა, დიდი ყურადღება ეთმობა წამახალისებელ ნორმებს და შესაბამისად შეღავათებს ტერორისტულ აქტებზე ნებაოფლობით ხელის აღების შემთხვევაში. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა სამართალდამცავ ორგანოებს ტერორისტული ორგანიზაციის ქონების კონფისკაციის განხორციელაბის უფლებას აძლევს, შემუშავებულია დამატებითი საპროცესო გარანტიები საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად. გათვალისწინებულია ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სპეციპიკა, კერძოდ, საგამოძიებო მოქმედებები ტარდება დამსწრეთა გარეშე.

ნაციონალურ კანონმდებლობასთან ერთად დიდი როლი ენიჭება საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს, რომელებიც მიღებულია მსოფლიოში ტერორიზმის შემცირების მიზნით. აქ ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ საერთაშორისო კონვენციებში ჩამოყალიბებულ ვალდებულებას, რომლის მიხედვიდაც სახელმწიფო ვალდებულია გადასცეს ტერორისტი სახელმწიფო ხელისუფლების კომპენტენტურ ორგანოებს სასამართლო დევნის განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაში კი, თუ ტერორიზმის ორგანიზატორს გაეროს წევრი ქვეყანა ეხმარება, ასეთი ქვეყნის მიმართ გამოყენებული იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის სანქციები.[97]

[97] https://bit.ly/2ThmzFQ- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.06.21

თავი IV. კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. დასაწყისში სწორედ ამ გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. შემდეგი თავი ეხება ტერორიზმის გნოსეოლოგიურ ფესვებს, სადაც განხილულია ტერორიზმის დეფინიცია, მისი წარმოშობის მიზეზები, ფორმები და სახეები, ასევე ტერორიზმის განვითარების თავიდებურებანი დროსთან მიმართებით, სადაც გამოყოფილია ოთხი ძირითადი პერიოდი: ადრეული ტერორიზმის ხანა, რევოლუციური ტერორიზმის ხანა, ცივი ომის ტერორიზმის ხანა და ტერორიზმის თანამედროვე ხანა. აღნიშნულ თავი გვეხმარება ნათლად დავინახოთ როგორი დანაშაულია ტერორიზმი და რა საფრთხეებს შეიცავს ის, ასევე კარგად ჩანს ტერორიზმის ნიშნების არსებობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიხვამდე პერიოდებში და მისი განვითარების მდგომარეობა დღევანდელ დღემდე.

შემდეგ თავში საუბარი მაქვს თანამედროვე ტერორიზმის ტენდეციებზე და მის პრევენციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. განხილული მაქვს 2020 წლის საკითხები, გახმაურებული და დასამახოვრებელი ტერორისტული აქტები, რის შედეგადაც ნათლად ჩანს დღევანდელი მსოფლიოს მდგომარეობა ტერორიზმთან მიმართებაში. განხორციელებული ტერორისტული აქტები, რომელიც ამ თავშია მოყვანილი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ტერორიზმი თანდათან უფრო სახიფათო და მრავალმაშტაბური ხდება, ვიდრე აქამდე იყო.

ამის შემდეგ საუბარი მაქვს ტერორიზმის კრიმინოლოგიური თავისებურებასა და მის პრევენციასთან დაკავშირებული ასპექტებზე. პირველ რიგში განხილულია ტერორიზმის კრიმინოლოგიურ კლასიფიკაცია - ამ კუთხით უფრო ფართოდ რომ შეგვეძლებოდა მისი როლის დანახვა. შემდეგ ყურადღება მაქვს გამახვილებული ტერორიზმის პრევენციებზე და სამათთლებრივ ღონისძიებებზე. მოყვანილია საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, თუ რა ხერხებით ებრძვიან ტერორიზმს და რა პრევენციულ ზომებს მიმართავენ, ესა თუ ის სახელმწიფოები ამ პრობლემის გადასაჭრელად.

დასკვნა

ნაშრომის დასასრულს, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერორიზმი ნამდვილად არის მსოფლიო მაშტაბის მოვლენა, რომელიც საოცარი სისწრაფით ვითარდება და ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყანას. ამ დანაშაულის მიმართებაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს საერთაშორისო თანხმბომა და მისი გაზიარებული განმარტება - დეფინიცია. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი ტერორიზმის არაეფექტურ ბრძოლასთან მიმართებაში, ძალიან რთულია ებრძოლო ისეთ დანაშაულს რომლის სამართლებრივად შეთანხმებული და ზუსტი დეფინიცია არ გაქვს.

ასევე, ძალიან საგანგაშოა სახელმწიფოების მიერ ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა რომელიც გავრცელებული ფორმაა. მაშინ როცა მსოფლოს ქვეყნები უფრო და უფრო აქტიურად ცდილობენ ამ დანაშულის აღმოფხვრას ამ დროს ისინი ანაალაიზებენ, რომ არიან სახელმწიფოები რომლებიც, ტერორისტულ ორგანიზაციებს ხელ უწყობენ: ფინანსურად, სამხედრო დახმარებით, იდეოლოგიური დახმარებით, ყალბი დოკუმენტების დამზადებით რისი საშუალებითად უპრბლემოდ გადაადგილდებიან, ფინანსური ტრანსაქციებისა, იარაღის შესყიდვით და ა.შ. ამის გამო, საჭიროა მთელი რიგი სამართლებრივი, დიპლომატიური, ეკონომიკური და შეტევითი მოქმედებების განხორციელება, რაც ტერორიზმის მხარდაჭერით გამოწვეულ დანაკარგებს გაზრდის ქვეყნებისათვის და უბიძგებს მათ, რომ უარი თქვან ტერორისტული ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების დახმარებაზე.

მნიშვნელოვანი საკითხებია ტერორისტული ჯგუფების მიერ საერთაშორისო ქსელის შექმნა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ამას დამატებული ინტერნეტ სივრცე და სოციალური ქსელები, რომელიც კორონა პანდემიის დროს საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა. ტერორისტული ორგანიზაციები კი ძალიან აქტიურად იყენებენ ამ სივრცეს მათი იდეოლოგიის გავრელებისთვის. ამიტომ არსებულ სოც.ქსელებსა და ვებ-გვერდებზე საჭიროა მკაცრი შეზღუდვების დაწესება.

ფაქტია რომ ბოლო წლებში ტერორიზმი განსაკუთრებით მაშტაბური გახდა. ის შედის ისეთ გლობალური პრობლემის რიცხვში, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას, რადგან უამრავი გარემოპირობები ართულებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდა, როგორც ტერორიზმის ფორმები და სახეები, ასევე მისი მეთოდები და გამომწვევი მიზეზები,ტერორიზმის მასშტაბები და ის პერსპექტივები,

რომელთა მეშვეობითაც ხდება ტერორიზმის მეცნიერული შესწავლა. სწორედ ეს მიზეზები ითხოვს მის მუდმივ კვლევასა და შესწავლას.

ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა მონაცამეთა ბაზის შექმნა. ისეთი სადაც, სრულფასოვანი საინფორმაციო მონაცემები იქნებოდა ყველა ჩადენილი ტერორისტული დანაშაულისა და ტერორისტული დაჯგუფებების წევრების შესახებ. ასევე მოძიებული იქნას, საერთაშორისო პრაქტიკიდან და მსოფლიო გამოცდილებიდან ისეთი ბრძოლის მეთოდები, რომლების გამოყენებაც დაგვეხმარება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტერორიზმი გლობალური პრობლემაა, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას, ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევით, ინტერესთა იერარქიაში მას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს, რათა შესაძლებელი იყოს მისი დამარცხება.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფები:

1. ადლერი ფ., მიულერი გ.ო.ვ., ლაუფერი ვ.ს., შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბილისი, 2003 წ;
2. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კომენტარები, ტომი II, თბილისი, 2007 წ;
3. ავტორთა კოლექტივი, კრიმინოლოგია და სამართლადამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატები და საქართველო - მთავარი რედაქტორი გიორგი ღლონტი. თბილისი 2003 წ;
4. გორაშვილი გ., ტერორიზმი და მისი იმანენტური კრიმინოლოგიური ნიშნები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, თბილისი, 2004 წ;
5. გახოკიძე ჯ. „ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებანი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში“ 2003 წ;
6. გორაშვილი გ., ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი, 2011 წ;
7. დვალიძე ი., ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი - თბილისი, 2017 წ;
8. თოფურიძე ნ., ცაგარეიშვილი ზ., საერთაშორისო სისხლის სამართალი - თბილისი 2003 წ;
9. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშულისთვის - თბილისი, 2003 წ;
10. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., დანაშული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ; თბილისი 2002 წ;
11. ლობჟანიძე გ., საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა,თბილისი, 2002 წ’
12. ნაჭყებია ბ., ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია, თბილისი 2019 წ;
13. ქელდიშვილი გ., ტერორიზმი და ტერორისტული აქტები, თბილისი, 2015 წ;
14. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია (მეორე გამოცემა), თბილისი, 2011 წ;
15. ჩქოფოია ს., ჭყოიძე კ., საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბილისი 2015 წ;

16. წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბილისი, 2005 წ;
17. ჭიღიტაშვილი ა., ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, 2009 წ;

უცხოური ლიტერატურა:

18. Amir M., "Political terrorism an common criminality: some preliminary consideration",Violence, Aggression and Terrorism vol. 1;
19. Berger, John M. Extremism. MIT Press, 2018;
20. Byman D., Chalk P., Hoffman B., Rosenau W., Brannan D., Trends in Outside Support for Insurgent Movements. Published 2001, by Rand;
21. Dr.Vanderhoof D.J.W, The Criminology of Terrorism. Copyright © 2001;
22. Erikson R.J., Legitimate USE of military forse against state-sponsored international terrorism. Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama 1989;
23. Jenkins B.M., The Study of Terrorism: Definitional Problems, Rand Corp., Santa Monica, Calif., November 1980;
24. Jenkins B.M., International Terrorism The Other World War. 1985;
25. Laqueur W., "Postmodern Terrorism," Foreign Affairs, Vol. 75, No. 5, September/October 1996;
26. Laqueur W., No End to War - Terrorism in the 21st century, New York, 2003;
27. Lesser I.O., Hoffman B., Arquilla J., Ronfeldt D.F., Zanini M., Jenkins B.M. Countering the New Terrorism. 1999;
28. Littleton M., "Information Age Terrorism," Ma thesis, U.S. Naval Postgraduate School, 1995;
29. Pelletiere S.C., Terrorism: national security policy and the home front. Editor May 15, 1995;
30. Phil Williams, Violent Non-State Actors and National and International Security, 2008;
31. Rapoport D.C, Fear and Trembling: Terrorism in Three ReligiousTraditions, American Political Science Review, Vol. 78, No. 3, September 1984;
32. Raymond D.W., World Politics in the 21st Century (Third edition), 2005;
33. Ruperez J., The United Nations In The Fight Against Terrorism, 2006;

34. Sacco Kennedy,The criminal Event, 2002;
35. Shelden; Trasy; Brown; Youth Gangs in American Society, 2001;
36. Sterling C., The Terror Network: The Secret War of International Terrorism (New York: Reader.s Digest Press, 1981);
37. William G., The Encyclopedia of Police Science, NY, 1995;
38. Алексенко Д.М. Актуальность новых подходов в борьбе с терроризмом. 2002;
39. Бояр-Созонович Т.С. Проблемы классификации современного терроризма. Университет дружбы народов имени Патриса Лумумбы Государственного комитета СССР по народному образованию. М., 1989;
40. Будницкий О. В. История терроризма в России в документах, биографиях, исследованиях, Ростов н/д: Феникс. 1996;
41. Горбунов Ю. С. Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография, М. 2008;
42. Денисов В.В. Социология насилия. М.,1975;
43. Емельянов В.П. Терроризм и преступления с признаками терроризирования: уголовно-правовое исследование. – СПб.: Издательство «Юридический центр Пресс»,2007;
44. Жаринов К.В. Терроризм и террористы (исторический справочник) Минск 1999;
45. Кожушко Е. Современный терроризм, анализ основных направлений. Минск, 2000;
46. Кузьминов Я. И. и др. Отчуждение труда. История и современность. Монография, М.1989;
47. Лизен А.-М. Заметки по поводу эффективной борьбы против терроризма. Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М. 2002;
48. Лунеев В.В. Организованная преступность и терроризм в условиях глобализации. 2002;
49. Манфред А. З., Великая французская революция, Москва, 1983;
50. Миньковский Г..М. Ревин В. П. Характеристика терроризма и некоторые направления повышения эффективности борьбы с ним. // Государство и право. 1997;
51. Назаркин В. Криминологическая характеристика и предупреждение терроризма, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук. М., 1998;
52. Овчинникова Г.В. Терроризм: Серия «Современные стандарты в уголовном праве и уголовном процессе» / Науч. редактор проф. Б.В. Волженкин. – СПб., 1998;
53. Цой Л.Н. Новый взгляд на борьбу: с терроризмом или с террористом (размышления социолога). // Терроризм: современные аспекты. Сб. науч. статей. –М., 1999;

54. Чурков Б. Г. Социально-философские аспекты современного терроризма. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата философских наук. М.,Мпгу, 1993;
55. Эфиров С.А. Покушение на будущее. М., 1984;

ნორმატიული აქტები:

56. საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ 2010;
57. საქართველოს კონსტიტუცია 1995;
58. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1999;

ვებ.გვერდები:

59. http://press.tsu.ge
60. http://dspace.nplg.gov.ge
61. https://www.gov.spb.ru
62. https://www.fbi.gov
63. https://matsne.gov.ge
64. http://author.nbpublish.com
65. https://www.uncp.edu/
66. www.un.org
67. http://www.state.gov
68. www.uncp.edu
69. https://bit.ly
70. https://imedinews.ge
71. https://on.wsj.com
72. https://openscience.ge
73. https://gyla.ge
74. http://www.coe.fr

75. https://www.ict.org.il
76. https://fortuna.ge
77. http://www.lawreform.ie
78. https://reut.rs
79. https://civil.ge
80. https://www.adiotavisupleba.ge
81. www.un.org
82. https://1tv.ge/news
83. https://mod.gov.ge
84. https://militarium.org
85. https://dpr.ru
86. https://www.ibtimes.com
87. https://cyberleninka.ru
88. http://gov.ge
89. http://www.cicte.oas.org
90. https://www.un.org
91. https://www.ibtimes.com
92. https://www.radiotavisupleba.ge
93. https://list25.com
94. https://legal.un.org
95. https://arbat.mos.ru
96. https://www.state.gov
97. https://www.jewishvirtuallibrary.org
98. https://www.hsaj.org
99. https://militaryarms.ru
100. https://slovar.cc
101. https://www.fbi.gov
102. https://www.osce.org
103. https://www.nationalgeographic.com
104. https://ssg.gov.ge
105. https://www.theguardian.com

106. https://arbat.mos.ru

107. https://en.wikipedia.org